ჩემი ენა

პ ო ე ზ ი ა ა

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო –
სამეურნეო უნივერსიტეტის
თანამშრომელთა და სტუდენტთა

№ 5

თბილისი 2008

უსაზღვრო გულწრფელი მადლობა
გამომცემლობა " თობალისის"
დირექტორს ჯამბულ ჯოხაძეს

და მათ ყველა თანამშრომელს წიგნის ტირაჟირებისას გაწეული უანგარო ამაგისათვის!

ჩემი ხატია სამშობლო,
სახატე მთელი ქვეყანა,
განათებული მთა-ბარი ,
წილნაყარია ღმერთთანა.
თავისუფლება დღეს ჩვენი,
მომავალს უმღერს დიდებას,
ცისკრის ვარსკვლავი ამოდის
და ორ ზღვას შუა ბრწყინდება.

დიდება თავისუფლებას ,
თავისუფლებას დიდება.



აივაზაშვილი ლაშა
ეკონომიკურ-ჰუმანიტარული ფაკულტეტის
II კურსის სტუდენტი

სულო ბოროტო

(ნ. ბარათაშვილის “სულო ბოროტოს” მიხედვით)

სისხლიან მიწას ფიფქი ეცემა
და შავი მტრედი დაფრინავს ბაღში.
აქ, ობოლ სხეულს სული ეცლება,
ვით საწყალ დედას სნეული ბავშვი.
ქარი კი დაჰქრის დანგრეულ სახლში
და ახლა სანთელს საოცრად აწვიმს
და თითქოს ბოროტ სულს დაუკაწრავს
ეს ცისარტყელა არწივის კლანჭით.
თითქოს გათენდა მაგრამ მზე არ ჩანს,
ფოთოლი ნაზად ეცემა მიწას.
სადღაც, ბოროტ სულს სიცოცხლის სხივი
დაუსრულებელ უკუნში მიჰყავს.
თოვლი მოვიდა, გათეთრდა მიწა,
თეთრი ლანდები ტყეში დადიან,
ცრემლი კი ისევ ჩუმად ასველებს
პოეტის სახეს ასე დარდიანს.
ალბათ დადგება ლამაზი წამი
როდესაც ჰპოვებს თავის სწორს გული.
აღარ იქნება არსად სიბნელე
და არც მიწაზე ბოროტი სული.

2006

მე გადმოვცურავ ზღვას

ერთი დღე ისევ ჩუმად გათენდა,
მაგრამ ცხოვრება თავისით მიდის.
წამები წუთებს კი ემატება,
მაგრამ სიცოცხლე მე მაინც მიცდის.
სწორედ ამ დილას სიცოცხლის სხივმა
კვლავ გამინათა ბნელი ოცნება.
მინდა გავიგო, მარტოობის დრო
როდის გაქრება, როდის მორჩება.
სიყვარულისთვის მინდა ვიბრძოლო,
მინდა მიყვარდეს, მინდა ვუყვარდე,
მაგრამ აქ ჩემთვის აღმართულ ზვირთებს
გვერდი ვერაფრით ვერ ავუარე.
ნეტავი, ცურვა მაინც ვიცოდე,
რომ გადავცურო ეს ლურჯი სივრცე
რომ შევებრძოლო ცხოვრების მორევს
და სიყვარულის თეთრ მწვერვალს მივწვდე.
მე ახლა ვხვდები, ამ უსასრულო,
ფიქრებს თავი რომ ვერ დავაღწიე
და ამიტომაც ჩემი ოცნება
ცხოვრების მიზნად გადავიქციე.
ვისწავლე ცურვა, შევედი ზღვაში,
აღარ მაშინებს ახლა ზვირთები.
ვიცი, რომ მალე მივაღწევ მიზანს
და მალე მარტო აღარ ვიქნები.
მივუახლოვდი ოცნების ნაპირს,
ისევ მორევი, ისევ ზვირთები,
აქამდე მარტო ძლივს მივცურავდი,
ახლა კი უკვე შვება ვიგრძენი.
ჩემს გვერდით ახლა სიცოცხლე გაჩნდა,
სიკვდილის შიში გამიქრა სულში.
ბევრი ვიბრძოლე და გავიმარჯვე

და სიყვარული მინთია გულში.

2007წ.

გალაკტიონი

რითმები ხაზავს ოთახში სივრცეს
და გრძნობებს ასდის სიკვდილის სუნი,
რადგან ამ წუთას ღია სარკმლიდან
გარეთ გაფრინდა პოეტის სული.
მისი სიცოცხლე იმ ღამეს ჰგავდა,
სადაც სიბნელეს არ ჰქონდა ფასი,
სადაც სიკვდილის ბოლო წამები
იყო ვარდების სურნელის მსგავსი.
ადგილს ეძებდა ცოდვილ მიწაზე,
თუმც ვერ მოასწრო ეს სასწაული,
რადგან მის სულში დღისით და ღამით
სულ იყო ლექსის დღესასწაული.
ის იყო მარტო ამ სამყაროში,
მარტო ცხოვრობდა ბნელ სავანეში
და ამის გამო ზეცის მაგივრად
ბინა დაიდო შავ სამარეში.
ვარდი ჭკნებოდა წყლიან ვაზაში
და მტკვარს ერთვოდა სადღაც რიონი,
ყველა ხარობდა ამ სამყაროში,
კვდებოდა მხოლოდ გალაკტიონი.

2006 წ .

ღიმილი მინდა

ბნელოდა ირგვლივ, მდუმარე ტყეში
სიჩუმეს ეცვა შავი სუდარა.
და დამწუხრებულ სულთა ფერხულში
ესმოდა მხოლოდ ხვეწნა, მუდარა.

მინდა ღიმილი, მინდა ცრემლები,
მომწყინდა ასე ურყევად დგომა.
ნუთუ არ არის არსად, ეს გრძნობა,
ნუთუ არ არის არსად სიცოცხლე?
მინდა ავანთო წმინდა სანთელი
და ხატს შევთხოვო უმწეოს შველა ,
მაგრამ უეცრად წრფელი თვალები
მდუღარე ცრემლმა მე დამისველა.
მე ახლა ვხედავ, როგორ იწვება
ჩემი სურვილი სანთლის ცხელ ალში
და უსასრულო სივრცის მორევში
ვეფლობი ისე ვით ცისფერ ზღვაში.
და უნებლიეთ მე მომსწრე გავხდი
თუ როგორ იქცა ეს ზღვა ტალახად
და ყვავილებით მორთული ველი
ცეცხლით გადამწვარ ყვითელ ბალახად.
ვეძებდი მიზეზს ამ სისასტიკის
და იმ უმწეო სულთა ჩაგვრისა,
რომელთაც სურდათ ბედნიერება,
მაგრამ სიცოცხლემ ეს არ აღირსა.
თითქოს ვიპოვე ამის მიზეზი
და აღარ მინდა ახლა ტირილი,
სიყვარულისთვის გავწირე თავი
და დავიბრუნე გრძნობა ღიმილის.

2007.

შენ სივრცეებმა დაგიბინადრეს

დღეს მარტოობა ხაზავს სივრცეებს
და განშორებას ადნობს ტკივილი.
მე მარტოდმარტო დავდივარ ბაღში,
გულს ვეღარ მითბობს შენი ღიმილი.

გუშინ საყდარში რკინის ზარებმა
ჯვრისწერის სანთელს ალი გაუქრო.
და ჩემმა გრძნობამ შენს მოლოდინში
ღამის თეთრ დუმილს ვეღარ გაუძლო.
რაც უფრო შორს ხარ, მით უფრო ვტკბები
და შენზე კვლავ ვთხზავ რითმების კონას,
მაგრამ, ვაი, რომ ლოდინის გარდა
სხვა გზა არ დამრჩა გრძნობების მონას.
შენ სამუდამოდ გასცდი ჰორიზონტს,
და ვეღარ გხედავს ობოლი თვალი,
შენ სივრცეებში დაიდე ბინა
და დღეს დავკარგე მე შენი კვალი.
მაგრამ არ მინდა კვლავ დავიტანჯო
და გულს მოაკლდეს გრძნობის ხალისი,
სწორედ ამიტომ იდუმალ ღამეს
დავპირდი რომ შენ აღარ დაგიცდი.
და ეს იმიტომ, რომ უკვდავებას
ვეტრფი და ვამკობ შიშველ ხელებით,
მაგრამ დღეს მივხვდი, რომ შავ სივრცეში
მე გამაქრილეს ლურჯა ცხენებით.

2007

იყო დუმილის სამი წერტილი

ირგვლივ დუმილი ყველას ხიბლავდა,
თითქოს არც სურდათ სიტყვის გაგება.
ხელებით ისე ლაპარაკობდნენ
თითქოს ეს უძღვნა მათ ამ განგებამ.
ჩუმად ცდილობდნენ ხმაურის შექმნას,
მათთვის ბგერები იყო საუნჯე.
მათ ყოფას ახლა დუმილი ერქვა,
მათგან შორს იყო ახლა სიმუნჯე.

სიყვარულსა და ბედნიერებას
გამოხატავდნენ მხოლოდ თათებით,
სიმღერასა და სიტყვის ძალას კი
ისინი სცნობდნენ მხოლოდ მითებით.
მღეროდა ყველა დუმილის ზღვაში,
ბგერების კონა ეპყრათ ხელებში,
ჩუმად ტიროდნენ ცრემლის გარეშე
და ეფლობოდნენ სათნო მორევში.
ისინი იდგნენ ისე გულგრილად,
როგორც ნატვრის ხე წმინდა ხეხილში,
ვერ პოულობდნენ ვერსად მომავალს
და სიკვდილს სცნობდნენ თვით სამ წერტილში.

“და დავალ ობლად ისევ მწირი მიუსაფარი”

თეთრი ვარდებით მოფენილ გზაზე,
სწრაფად მიჰქრიან შავი ეტლები
და მეც ახლა ვგრძნობ რაღაც უცნაურს
და ამოუცნობს, ალბათ ვბერდები.
წამით გამოჩნდა სულის სიმშვიდე,
ვით უდაბნოში თეთრი ტაძარი.
ის მალე გაქრა და ახლაც ვეძებ,
სულ, მუდამ ვეძებ, ნეტავ სად არის?
მან წარიტაცა ჩემი ოცნება,
ვით შავმა ცხენმა თეთრი ფერია.
მზე დამიბნელა, მთვარე ჩამიქრო,
ახლა სიცოცხლეც არაფერია.
აქ რეალობამ ფრთები შეისხა,
სიყვარული კი ახლა ნისლშია.
მე დავიტანჯე ამდენი სევდით,
ახლა სიკვდილიც არ შემიძლია.

ნეტავ გაივლის ღამის წყვდიადი?
ამდენი ტანჯვა ჩაივლის ნეტავ?
მე აღარ მჯერა არცერთი გრძნობის,
ნათელ დღეშიც კი ვერაფერს ვხედავ.
მალე მოვკვდები, მოვკვდები ვიცი,
ახლა ფუჭია რამეზე ფიქრი
და მე უკვე ვგრძნობ, რომ ჩემი სული
დაუსრულებელ სივრცეში მიჰქრის!

2006 წ.

ვასილ ამირიძე

დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი. 1996 წლიდან სსსაუ ინჟინერ-სპეციალისტია.

მზის ამოსვლისას

დელგმა გადავლილ, ნაგვემ-ნალეწ კავკასიონზე
რიჟრაჟმა მეტად მოკრძალებით შეიფრთხიალა,
ცის გზას შეუყვა ტოროლას ხმა წკრიალ-წკრიალით
და დილის დროშა გაბედულად ააფრიალა.
შორით მოსულმა ცივმა სიომ, ბაგებით ცივით,
ქუჩის ღერებზე გადაკოცნა მთვლემარე ნამი,
კლდის ქვეშ მოძებნა მეხთა ცემით დამფრთხალი
როჭო
ძილი დაუფრთხო, გზას გაუყვა, არ დადგა წამით....
მიუვალ კლდის ქიმს გადმოადგა ხარჯიხვი ლაღი,
ცვრიან ფერდობებს დაკვირვებით მოავლო მზერა,
ცაზე გამოჩნდა ლაჟვარდთ მეფის გაშლილი ფრთები
მრისხანე თვალით სამფლობელო მსწრაფლად
დაზვერა.....
თეთრი სამოსით მოსილ კეკლუც ხევის პატარძალს
ზვიადს, ამაყად ზეცის კარი რომ გაუღია,

სიცოცხლის დედის, - მზის სხივებით აელვარებულს
შლეგიან ღამის თრთოლა-ძრწოლა ცად წაუღია....
იშმუშნებიან ზანტი ზლაზვნით მთანი მაღალნი
ზღაპრულ დევებად, უშფოთველად წამოწოლილნი,
ძირს ეშვებიან ჯანღდახურულ უფსკრულებისკენ
სხივნი მზისანი ნიაღვარად ცით ჩამოშლილნი.
ასე იწყება ჩემი მთების თიბათვის დილა,
ირგვლივ ფრინველთა გალობის ხმა იღვრება
ტკბილად,
ტყე, კლდე, ხეობა თვალს ახელენ ზმორებით, ნელა,
წარმტაცმა დილამ რითმთა ძებნად მეც " გამახელა"....
02. 06. 07

* * *

ვუძღვნი ჩემ სოფლელ ე.წ. "სამამულო" ომში (1941 - 45) ორი ვაჟკაცის დამკარგავ დედას (მეტი შვილი არც ჰყავდა)

მლეთელთ ასულო, ამირთ კერაზე
დედის სახელით მიმოდიოდი,
ლაღი ოჯახით თავს იწონებდი
და ორ ვაჯკაცსაც მამულს უზრდიდი.
გული ხარობდა შვილთა მხარბეჭით.
მკლავმოუღლელთა შრომის უნარით,
ჰქუხდა ცხოვრებაც წინმომავალი
სწრაფი ნაბიჯით, გაუგონარით.
ფიქრობდი ალბათ, ვით ყველა დედა
შვილებით ჩემით გავიხარებო,
დავაქორწინებ, შვილიშვილების
აკვნის რწევას არ დავიზარებო....
მაგრამ უეცრად მოწმენდილ ცაზე
შავმა აჩრდილმა ფრთები გაშალა
და ვაჟკაცები შენგან გაზრდილი

“მამულის”დამცველთ გაჰყვნენ გზა-შარას....
ხან მოდიოდა წერილი შორით,
ხანაც მნახველი გამოჩნდებოდა.
ორი ვაჟკაცი, ორივე ფრონტზე? –
დაზაფრულ დედას გული გტკიოდა .
გვიან ორივეს წერილი შეწყდა.
აღარც მნახველი ჩანდა არავინ .
უბედურების მაუწყებელი
ცნობებიც ჩანდა გულშემზარავი.
ცრემლის ღვართქაფში დაუურველმა
ჟამმაც სიბერე წამოგაწია,
შვილებს ელოდა გული დედისა –
იქნებ ერთ - ერთმა გამოაღწია?
გზის პირას მჯდომი, სოფელში მომსვლელს
ეკითხებოდი ცრემლის მფრქვეველი:
- ხომ არ გინახავთ ჩემი შვილები?
თედოს და ლევანს დღემდე მოველი.....
მწარე სვე-ბედის გარდუვალობამ,
ლოდინში სხეულს გაჰყარა სული
და სამუდამოდ მიწას შერია
ცრემლის მორევში დამდნარი გული.
გაცივდა კერა, დაინგრა სახლი,
ზედ დათარეშობს წვიმა და ქარი,
და დღემდე, დღემდე თედოს და ლევანს
უხმოდა ტირის ეს ნასახლარი..

09.04.63

* * *

წამიც კი არ ყოფილა
საწუთრო მიწყივ მბრუნავი,
მის ცბიერებას გადურჩა
ნუ დაიქადნის ნურავინ.
ხან თვალზე ბედნიერების

ცრემლიდან გამომზირალი,
ხან ფლიდი, გაუტანელი,
საზარელი ხმით მყვირალი.
დღეს სასურველის მომძღვნელი
ხვალე მიმთვლელი უკანა,
ვერც ის გადურჩა მის კლანჭებს
ვინც სულ ერიდა, უგანა....

06. 07. 67

ავი სენისადმი

(ვუძღვნი 36 წლის ასაკში კიბოთი გარდაცვლილი დის ნათელ ხსოვნას)

დღეს უძლეველო, ლაღი ნავარდით
სადაც ისურვებ შეჰკრავ კამარას,
სიცოცხლეს ართმევ, იმ ქვეყნად ჰგზავნი
განუკითხავად დიდს და პატარას.
მოურევი და უფრო ძლიერი
ადამის მოდგმას ჯერ არ უნახავს,
შენს ულმობლობას მემატიანე
საუკუნეებს შემოუნახავს.
დღეს არა? ... ხვალე, მწამს დაგამარცხებს
ადამიანი ყველაფრის მძლევი,
ერთია მხოლოდ, - რა შეღავათი
ვისიც საფლავში აწყვია ძვლები?...

მარტი, 1966

ვალიარებ

ნაღდად თქმის ნიჭი
მე ბევრჯერ მიჭირს....

09.09.07

* * *

სამშობლოს ბედზე იუბნე ისე,
ჟრჟოლა დაიწყოს ყმამა,
გააფთრებული აიჭრას ზეზე
ხელი გაიკრას ყამას.....

18. 08. 09

* * *

ჩაგრულის ბედი? – გოდება.
დამჩაგვრელისა? – სიმღერა.
– ძალაში დღესაცა რჩება:
“დივიდე დე იმპერა”.

03.09. 89

* * *

ხვალე შობაა კათოლიკეთა,
ხვალ ბიჭი მიჰყავთ ჯარში,
ღმერთო, მშვიდობით გამომიბრუნე
ჩემი გიჟ – მაჟი ჯარჯი....

24. 12. 97

* * *

ჰეი, მისმინე! – სინდისის ქუდი
თავზე გხურავს და ქვეყნად დადიხარ?
შეცდომას, ცოდვას, - სახალხოდ იტყვი?
შენ გაგიმარჯოს! – კაცი ყოფილხარ....

27. 02. 99

* * *

ჩემო ქვეყანავ, დიდი ხანია
ნაღდი პატრონი არა გყოლია,
დღეს მამულისთვის საჭირო კაცი
ვინმემ მოძებნოს არა მგონია.

16. 07. 01

* * *

რად გააჩინე უფალო
ასეთი ჭრელი ქვეყანა?
ამდენი ფლიდი, უგულო
რატომ ბოგინობს ნეტარა?

08. 08. 97

* * *

მაისით ამღერებული
კორდი, ქედი და მინდორი,
დიდი, გმირული წარსულით
ჩემს წინ გაშლილა დიდგორი.....

22. 05. 02

* * *

ღვთით ნაბოძები სიცოცხლე
მწარეც კი , - დიდად ტკბილია,
იმად რომ საწუთროს ბოლო
სიკვდილით ჩაკეტილია.

21. 08. 99

* * *

უფალო, ნეტა რა მიზნით
ინებე ჩემი გაჩენა?
ან რად მიბოძე სულ მიჯრით
მტანჯველ ფიქრებთან დარჩენა?
ყოველდღე დარდთან ჭიდილი
სევდის მორევში ცურვა,
არსად სიკეთის ღიმილი
მუდამ თანმდევი ურვა.
წოლა ეკლიან ლოგინში
კვნესით თენება ღამის,
უკეთეს დღეთა ლოდინში
სული ამომხდეს ლამის.
ნუთუ სიცოცხლის ბოლომდე
სულ ბეწვის ხიდზე მავლევ?
გზას ძვალთსალაგის კარამდე

გაუღიმარი გავლევ?....

02.65

* * *

ქართველს, ვისაც ღმერთი არ სწამს,
მე ის, ნაღდად, კაცად არ მწამს.

05. 06. 07

ჯარჯი

(ექსპრომტად)

შენ ოცდახუთი სექტემბრიდან
მამავ ასულის,
ოცდამეერთე საუკუნის
ქალის, ქართველის,
შეწევნით უფლის, კარგ ქალობით
ცამდე ასულის –
დიდ ქართველ ქალებს გვერდს სდგომოდეს
მაგდას სახელიც.....

26. 09. 00

მარიამს

პაწია შვილიშვილს ექსპრომტად

თიბათვის თვეა, დარია,
ირგვლივ მზის სხივთა ღვარია,
შენ ქვეყნად მოხველ მარიამ,
ვხარობ, არ მიდევს ზღვარია.
გფარავდეს დიდი გამჩენი
და ღვთისმშობელი მარიამ,
ბედნიერ დედად დაბერდი
სათნო, სპეტაკი ქალია.

08.06.05

მომენტო მორი

წამებად მექცა სიცოცხლის მწუხრი,
ქაღალდო, განდე გულისტკივილი,
სხეული მიგრძნობს მარად უჩინო,
მიახლოვდება უხმო კივილით.....
12.12.05

* * *

უფალი ბრძანებს: - შეუნდეთ
ცოდვის ჩამდენთ და ავისმქნელთ,
რად არ გვაუწყებს მეუფე –
როგორ მოვექცეთ ძმათამკვლელთ?
19. 12. 91

* * *

ზეციდან მამცნობს სუსტი ხმით
ცივ სხივთა მფენი ვარსკვლავი:
“იცოდე, - ლიბანის მთებში
არის აბელის საფლავი”....
30. 04. 93

* * *

მავანისათვის საწუთრო
ველზე დევნაა ქარისა,
ვით უვიცისგან მუშტის რტყმით
გაღება ღია კარისა. 27. 09. 89

* * *

მანამ ვცოცხლობ, -გათენდეს დილა
და არ ვადიდო გულწრფელად ზენა?
არ შევავედრო გამჩენს ჩემს წილად
ქვეყნად მშვიდობა, ერის შეწევნა?
- გარდუვალია, წუთისოფელი
უნდა დავტოვო, გარდავიცვალო.

ეს ცრუ, უნდო და ავისმყოფელი
სიცოცხლე ბნელზე უნდა გავცვალო.
სულადქცეული თუ ბედისწერით
ჯოჯოხეთის კარს ჩავუვლი გვერდით,
კვლავ დავბრუნდები უკან სხვა გზებით
მარად მქროლავი ნიავის ფრთებით.
იქნებ გამჩენმა კურდღლად მაქციოს,
მიმინოდ, მერცხლად, ანდა შოშიად?
უღელში შებმულ ქედმაგარ ხარად,
ან ვწკავწკავებდე, ვიყო გოშია?
ანდა მოვიდე უღრანის მკვიდრად
რცხილების გვერდით ვიდგე წიფელი?
ან გაზაფხულზე ველად ავყვავდე
ყაყაჩოსავით ვიყო წითელი?
ან იქნებ, იქნებ... ცას ვეკითხები
თუმც უაზროა პასუხს რომ ველი,
ზეციდან მუდამ ისმის დუმილი,
დღემდე უთვლელი გავიდა წელი
და ნუთუ, ნუთუ,.....

21.05. 05

* * *

ჯანსაღ სხეულში – ბოროტი სულით
რამდენი დაძრწის გესლით, შხამითა?
“ჯანსაღ სხეულში – ჯანსაღი სული”
ვერა ვგებულობ, რად თქვეს ლათინთა?

ღვინობისთვე, 1977

* * *

თვრამეტი მარტი გათენდა
საშინელი ქრის ქარი,
თოვლის ნამქერით ივსება
კორპუსის კიბე – კარი.
მთვრალი კაცივით ქანაობს
მეცხრე სართული ჩემი,

მარტი ზეიმობს სიავით
და ეს სიავე შვენის....
ყინვით, ქარბუქით დაღლილი
კვნესიან ალვის ხეები,
უკან არ იხევს გრიგალი
ერთურთსა სცვლიან დღეები.....

18. 03. 97

ჩემს რძალს, ხათუნას

(ექსპრომტად)

უფლის ნებით ოცი მარტი
გამითენდა ბედნიერი,
ოჯახში შემომიფრინდი
მტრედი მეტად მშვენიერი.
თვალები გაქვს ანგელოზის
მშვიდი, წყნარი, ლმობიერი.
ღვთისმშობელს ვემუდარები
დაგვიბერდე ბედნიერი.

20. 03. 97

* * *

ჩემი სიცოცხლის დარჩენილ დღეებს
ღმერთის შეწევნით გავლევ,
პირველს, - როს სასმისს ხელში ავიღებ –
მის სადიდებელს დავლევ.
ვიტყვი: - გამჩენო, - დიდება შენდა!
შენითა ბრუნავს ვრცელი სამყარო,
ცაზე ვარსკვლავნი შენით ბრწყინავენ
სიცოცხლეც ქვეყნად შენითა ხარობს.
შენით მოდიან გაზაფხულები,
შენით მოფრინავს თოვლის ფანტელი,

შენით მოჰყვება რიჟრაჟს ცისკარი,
ციდან მზის სხივი გვაწვიმს ამდენი.....
        კვლავ შენი ნებით გათენდება და,
მზე აღმოხდება სხივების მფენი,
ცათა შინ მყოფო მამაო ჩვენო,
მარად და მარად დიდება შენი.....

25. 05. 07

დღეს ჩემი მე-5 თვეში გადამდგარი
ცად გაფრენილი შვილიშვილი –
ექვსი წლისა გახდებოდა.

პაპის ექვსი წლის ნიკუშავ,
ისევ შენ გეალერსები,
ფიქრებში ზღაპრებს გიამბობ,
ხშირად ვერთობით ლექსებით.
თითებზე უკვე აღარ ვთვლით,
დათვლა ისწავლე ასამდე,
ხან მეტყვი: - მულტიკს ვუტურებ
პაპა - ეზოში წასვლამდე....
მუდამ ჩემს თვალწინ ტრიალებ,
ბიჭი ხარ წამოჩიტული,
ხტუნავ, ბუქნაობ, ბზრიალებ,
არა ხარ დონდლო, ფიტული.
.... მანამ აქა ვარ, შენთან ვარ
გულით, სულით და ფიქრებით.
შენთან მოვალ და მის მერე
სულ მუდამ ერთად ვიქნებით....
აპნისის 24, 2004

* * *

გვალვაა საქართველოში
გადახმა მთა და ბარი.
სამი დღე არის დიღომში
არ დავარდნილა ცვარი.
ნახევრად შიშველ ხეებზე
ფოთლები შიშით კრთიან,
მათი გამხმარი მოძმენი
ყველა მიწაზე ყრია.
გაცრეცილია გარემო,
ცის ნამს ნატრულობს მიწა,
დავბერდი, ასეთი გვალვა
არ მაგონდება, ვფიცავ....

31. 08. 06 სსსსსუ + 38 ^{0}

* * *

მე რომ ქართველად დამბადე
ზოგჯერ მრცხვენია უფალო,
ამ ძმათა მკვლელებს, - ქართველებს
ფარი მე როგორ ვუფარო?
რად დააქციეს სამშობლო
ერთურთი წყვიტეს, ჟლიტეს,
ამ ვერაგობის კარებზე
ვინ დაგვიკიდებს კლიტეს?

21. 03. 1994

* * *

ჰერ აინშტაინ, ფაშიზმი დაემხო,-
მორიდებით კითხვას ჰკადრებს მავანი:
- თუ კვლავ იქნა ომი გარდაუვალი
რა იარაღს იხმარს ადამიანი?
მეცნიერი დაფიქრდა და უპასუხა მშვიდად:
“ ეგ მე არა, მხოლოდ ღმერთმა იცის...
მაგრამ, შემდგომ თუ კი იქნა ომი ???
ქვების სროლით დაიწყება, ვიცი.”

12. 05. 70

* * *

შენში ჰპოვებს თავშესაფარს იცის
სიყვარულით ვინც დაგეძებს ერთობ,
ყველა დიდად გაიხარებს ვიცი
გული ხარკად ვინც მოგიძღვნა ღმერთო!

24. 07. 07

* * *

ვერავინ შეძლოს
საკუთარი ჯვარის ტარებით
ძვალთსალაგამდე
შეუცდომლად გზა გაიაროს,
ყოველი წამი გამოზომოს
წუთისოფლისა
უფლის შენიშვნა არ მიიღოს,
ისე იაროს!

17. 10. 07

თენდება

"ეღირსებაო ლუხუმსა
ლაშარის გორზე შადგომა"
ვაჟა

თენდება კავკასიონზე
ლუხუმი ფეხზე ამდგარა,
იჭურვის ლაშარის გორზე
ასავლელს სახავს გზა-შარას...

ღვინობისთვის 12, 1989

* * *

მე მუდამ ვიტყვი, რომ ბულბული
მეტად ნაზია
მაგრამ არასდროს, -
რომ ყორანი არ არის შავი,

მუზის მშობელის საბრძანისი –
ჩემი აზრია,
საქართველოში
იყო,
არის
და , -
რჩება ფშავი.

12. 12. 07

ანდერძი

დამასაფლავეთ იქ, სადაც ჩემი
წინაპართ ძვლები წვანან საფლავში,
მათ წმინდა სულებს აღთქმა მივეცი
არ დავაკლდები მე სათვალავში.
ცხრამეტი წელი ჩემი მთა-ბარის
გულ-მკერდის მსუყე ნაყოფი მზრდიდა,
ტყე-ველს ვლახავდი ხალისიანი
არ გადავსულვარ მე სოფლის გზიდან.
არ დავკლებივარ სოფლის სიხარულს,
არც ტკივილისთვის მიკრია ხელი,
მშობელო მიწავ, ჩემო გამზრდელო,
შენსკენ ვიჭურვი, ვიცი რომ მელი.
ვატყობ სიცოცხლის ყავლი თავდება
ქვეყნად ყველაფერს აქვს დასასრული,
რაც შენ გეკუთვნის, - შენ ის მიიღე,
უფლის ნებაა სად წავა სული.
გემუდარებით, არ დაივიწყოთ
ფიჭვის ხისაგან შემიკრათ კუბო,
მუხას ან წიფელს ნუ მომაკარებთ
მაინც მივხვდები, იცით ვარ უნდო.....
ცრემლი და გლოვა? - რის მაქნისია?
საფლავის თავთან დამიდგით ჯვარი,

ნიკუშას ზემოთ ორ მეტრზე ჩამდეთ
მის ქვეშ მოვექცე არ მქონდეს ჯავრი.
სულად ქცეულიც ვერ მოვისვენებ
რიჟრაჟზე მარდად ფეხზე დავდგები,
ღამით ვარსკვლავთა მზერით დაღლილი
ლამაზი დილით მოვიხიბლები.
ბურვანას მთაზე ამოსული მზის
სხივების ცეკვას მივეფერები,
დავტკბები ჩემი არაგვის ცქერით,
ვიხარებ სოფლის ბედნიერებით...
იმრავლეთ ვინაც ქვეყნადა მრჩებით
ყოველ ნაბიჯზე იყავით ფრთხილი,
უფლის წყალობით ღრმა სიბერემდე
არა გტკენოდეთ არავის ფრჩხილი.
იმასაცა გთხოვთ: მუდამ გახსოვდეთ
წუთისოფელი ცრუა და მრუდი,
ღირსებით განვლეთ წუთისოფლის გზა
სუფთა მანდილით, ნამუსის ქუდით....

მარიამობისთვის 16, 2007, ს. ამირნი

* * *

ოცდახუთი აპრილია,
ზედაზენზე თოვს,
ამ ფიფქებით არსთგამრიგე
ჩვენს ცუდ სამოსს ჰქსოვს.
აღმართს მუდამ დაღმართი სცვლის,
ვიცი გაიდარებს
მერე გვალვა გადაბუგავს
ამ ჩვენს ლამაზ მხარეს

25. 04. 07

* * *

გადრასულ დღეთა კუთვნილია ჩემი წარსული,

მომავალი მაქვს? – ვერას ვიტყვი, დასანანია;
ივერთა მიწის ერთ წერტილზე დაყუდებული,
კოსმოსში მივქრი, კარგად ვიცი, დიდი ხანია.
თუ მარად იფრენს მზის გარშემო ჩვენი პლანეტა
და არ გახდება მსხვერპლი სუპერ შავი ხვრელისა,
განგების ნებით ბოლოს ყველა მიწას ნებდება.
მადლობა ღმერთო! – ხვედრი მათი, მეც თუ მეღირსა...
06. 01. 08

ვაჟა – ფშაველას მეუღლის ნაამბობი

1951 წლის სექტემბერია, ფასანაურის საშუალო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის – ქეთევან კასრაძის ინიციატივით მეთერთმეტე კლასელებმა გადავწყვიტეთ ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმში ექსკურსიის მოწყობა.

გამოიძებნა სატვირთო ავტომანქანა, სკოლის დირექტორი დ. თეთრუაშვილი კაბინაში მოთავსდა, ძარაში წინ რამდენიმე მასწავლებელი დაჯდა, მათ უკან კი არდი-გარდმო გადებულ ფიცრებზე მოსწავლეები დავსხედით და გზას გავუდექით.

ერთ საათში ჟინვალს მივაღწიეთ, ხიდზე გადავედით და როგორც მთიული ხანში შესულები იტყოდნენ ხოლმე, ფშავის წყლის(არაგვის) მარცხენა მხარეს ჩარგლისაკენ მიმავალ გზას გავუყევით. მეტად წყნარი, მშვიდი და მზიანი ამინდი იდგა. მივდიოდით ნელა, ვაკვირდებოდით ჩვენთვის არაგვთან შედარებით წყნარი მდინარის ჭალას, უკვე ყვითელ ფერებში გარდამავალ ტყიან ფერდობებს. ბავშვები ვიხსენებდით ვაჟას ნაწარმოებებიდან საზეპიროებსა და ჩვენს კუთხეში გავრცელებულ საყვარელ

სასიმღერო ტექსტებს: ”გათენებისას ჭიუხში”, ”თუ ეგრე ტურფა იყავი”, ”მარჯვენას არ სჭრის მუცალსა” და ასე შემდეგ.

ერთერთმა მასწავლებელმა, რომელიც ჩარგალში ნამყოფი იყო, თქვა: - მალე, დაახლოებით ათ წუთში შევალთო ჩარგალში... ჩვენ მღელვარებამ შეგვიპყრო. სკოლას ვამთავრებთ და კვლავ ბავშვური ემოციების გავლენის ქვეშ ვართ. ჩვენთვის რაღაც წარმოუდგენელთან შეხვედრას ველოდებით. ყველანი ვდუმვართ და საკუთარ ფიქრებში ვიძირებით.

რეალობასთან გვაბრუნებს მასწავლებლის ხმა: - ესეც ჩარგალი.....

შევედით სოფელში, ავტომანქანა ვაჟას სახლთან გაჩერდა, ყველანი ძირს ჩამოვედით და ეზოში შესასვლელ კართან მოვგროვდით. ჩვენ ხმაურზე სახლთან არც თუ ახალგაზრდა კაცი გამოვიდა და მოგვესალმა: - გამარჯობათ, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, სტუმარი ღვთისაა, მობრძანდით, მაგრამ მინდა ვიცოდე სადაურები ხართ? მე ვაჟას შვილი ვარ, ვახტანგი მქვია...

მას ჩვენი სკოლის დირექტორი მიესალმა და დასძინა: - ჩვენ ფასანასურის სკოლის მეთერთმეტე კლასელები მოვიყვანეთ ქართველი ხალხის საამაყო შვილის– თქვენი მამის – სახლ-მუზეუმის გასაცნობად და საკუთარი პიროვნება წარუდგინა – სკოლის დირექტორი დავით თეთრუაშვილი გახლავართო.

ბატონმა ვახტანგმა ყველას ხელი ჩამოგვართვა, მობრძანდითო, გვთხოვა და წინ გაგვიძღვა.

განცვიფრებულები და გაოგნებულები მივჩერებივართ პატარა მუშამბაგადაფარებულ მაგიდას, სკამს, ნავთის ლამფას, ფანჯარას, ბუხარს, კედელზე დაკიდებულ ირმის რქებს, სხვა ნივთებს და შელანძულ კედლებს. ძალიან უბრალო და მეტად

ღარიბი მთიელი გლეხკაცის ბინას და მახსენდება ვაჟას მთელი ქვეყნის გასაგონად ნათქვამი:

”ტან-ფეხ-შიშველი დავდივარ,
ცოლს არ მიცვია კაბაო”

ან: “ მეც იმათ ჯოგიდამა ვარ,
ვინც სიღარიბით ცნობილა”

აი, თუ რა პირობებში ცხოვრობდა და როგორ ბინაში ქმნიდა თავის უკვდავ ნაწარმოებებს ეს ამაყი “კაი ყმა”. ნანახით განცვიფრებულები ერთმანეთს მივჩერებივართ, ხმის ამოღებას ვერ ვახერხებთ და ასე უბრად ეზოში გამოვდივართ, სადაც თურმე სიურპრიზი გველოდა; ბატონმა ვახტანგმა მოხუცებული, ყავარჯნით ხელში, სკამზე მჯდომი ქალბატონი წარმოგვიდგინა – ჩემი დედააო.

ჩვენ უკლებლივ, დიდი მოწიწებით მივესალმეთ დიდი ვაჟა-ფშაველას მეუღლეს. დიდი რიდითა და მოწიწებით ვუყურებთ ამ მშვიდ და წყნარ მოხუცებულ ქალბატონს . ჩვენი ეს უხერხული დუმილი დაარღვია ქალბატონმა ქეთევან კასრაძემ:

- ქ-ნო თამარ, იქნებ მოკლედ რაიმე ეპიზოდი უამბოთ ჩვენს ბავშვებს ვაჟაზე, - თუკი ეს თქვენ არ შეგაწუხებთ?

დედა-შვილთან ცალ-ცალკე ექსკურსიის მონაწილეებმა სამახსოვრო სურათები გადავიღეთ და ქ-ნმა თამარმა, გვერდით მდგომ ქეთევანს უპასუხა: “შვილო, მე დავბერდი, თავს ძალიან შეუძლოდა ვგრძნობ, მაგრამ თხოვნაზე უარს როგორა გკადრებთ” – და პირდაპირ დაიწყო: “ერთხელ, აღარ მახსოვს რომელი წელი იყო, ძალიან ცხელი ზაფხული დაიჭირა, გოლვამ გადაწვა და გადაბუგა ყველაფერი, ხევები და წყაროები ბევრი დაშრა, ხორბლის ყანები ნაადრევად შემოვიდა, იმ წყეულმა სიცხემ ისინი ისე გაახმო რომ მარცვალი თავთავიდან მიწაზე ცვიოდა და თუ დროზე არ მოვმკიდით, - მშივრები დავრჩე-

ბოდით. დღე და ღამე ვმუშაობდით, რომ მალე მოგვემკა და დანაკარგი ცოტა ყოფილიყო. ზოგჯერ ღამით ლამფას ან ფარანს ვანთებდით და ისე ვმკიდით, ღამით სიგრილეა და მუშაობაც ადვილი...

სამკალი რამდენიმე დღისაღა გვქონდა დარჩენილი, ვმკიდით, შუადღეთ უკან იყო, ლუკა გაჩერდა და მომეჩვენა, რომ სადღაც უაზროდ იყურებოდა, კარგა ხანს იდგა ეგრე, მერე დაიხარა და მკა გააგრძელა, მოგვიანებით კიდე ორჯერ გაჩერდა, მაგრამ მეოთხედ რო გაჩერდა, სათითეები წაიძრო თითებიდან, სამკლაურიც მოიხსნა და ნამგალთან ერთად ხელეურზე დაყარა. ერთი სიტყვაც არ უთქვამს, ხმაამოუღებლად დაეშვა თავქვე და სახლისაკენ აიღო გეზი.

ჩვენ მუშაობა გვიან დავამთავრეთ, ძნები ავაგეთ, შინ დავბრუნდით და საქონელი დავაბინავეთ. საჭმელი მოვამზადე. ლუკას წყალთან ერთად შევუტანე, მაგრამ უკან გამოსვლისას მივხვდი (ან მომეჩვენა), რომ მას არც ჩემი შესვლა და არც გამოსვლა არ გაუგია. ეგრე იცოდა, ხან ორ-სამ დღე-ღამეს გადააბამდა ხოლმე; თავაუღებლად წერდა. ლამფაში რომ ნავთი გაუთავდებოდა, ბუხარს აანთებდა და ცეცხლის შუქზე აგრძელებდა წერას. ამ დროს ჩვენთვის ვინმეს რომ თავები დაეჭრა და საქონელი გაერეკა, გარეთ არ გამოიხედავდა და წერას თავს არ დაანებებდა, ბევრჯერ მინახავს გათენებულში ქაღალდებზე დაძინებული და საჭმელი ხელუხლებელი.

აი, ეგეთი იყო და ეგრე იცოდა ლუკამ".
მოკლედ მოჭრა ქალბატონმა თამარმა.

ნინო ბაკურაძე
ჟურნალისტიკის სპეციალობის II კურსის სტუდენტი

შენთან ერთად

ღამის სიჩუმე დაარღვიეს
ცხენის ფლოქვებმა
ოცნების ღამეს შენთან ერთად
ლამაზ ფრთებს გავშლი
მე შემაწუხეს უსასრულოდ
შენზე ფიქრებმა
და ოცნებებში შენთან ერთად
მივფრინავ რაშით.
ცა ვარსკვლავებით მოჭედილი
განვვლეთ უღრუბლოდ
მთვარის სხივებმა შეგვაგებეს
სამოთხე ტაშით.
გადაიშალა საოცნებო
ჩვენი სამყარო,
სად მიგვაქროლებს ეს თავნება
ჩვენ თეთრი რაში
გამოიღვიძე, ეს ცხოვრება რეალობაა,
გზა აღარ მისცე შენს ოცნებებს
საკუთარ თავში.
ღამის სიჩუმე დაარღვიეს
ცხენის ფლოქვებმა
მე შენთან ერთად ოცნებებში
კვლავ ვიფრენ რაშით.

სიყვარული

ქვეყანაზე ღმერთმა შენთვის მომავლინა
სიყვარულში შენი მონა გამხადა

და ამ გრძნობამ უფრო მეტად აღმავლინა
უფრო ძლიერ ღვთის მოშიში გამხადა.
სიყვარულმა შენ ხატის წინ მალოცვინა
შენი თავი საფიცარად გახადა.
შენ კი, შენ კი, შენ კი აღარ მინახულე
მე შენი ტყვე შენ კი ჩემმა ჯალათმა.
ბრალი დამდე სიყვარულში, მიმატოვე
მაგრამ რწმენამ, რწმენამ არ მიღალატა.
დღეს კი გხედავ მონანიეს ჩემს ფეხთმორთხმულს
შენდობის და სიყვარულის მათხოვარს
მაგრამ არა, უკვე მე არ გაპატიებ
უკანონო შენს ქმედებას, სათხოვარს.

იოსებ გაფრინდაშვილი

ფიზიკის კათედრის პროფესორი. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი. დაიბადა 1929 წ. ჭიათურაში. 1975 – 80 წლებში ხელმძღვანელობდა ფიზიკის კათედრას. მთავრობის მრავალი საპატიო ჯილდოს მფლობელია.

მანია ჩხაიძე

(ნამდვილი ამბავი)

გარდამხდა გარდასავალი
აწ უარესსა მოველი

ორმოცდაორი წელია
გასული საუკუნისა.
შემოდგომაა დამტკბობი
ადამიანთა სულისა.

ფაშისტ დამპყრობთა ჯარები
ჩრდილოეთ ოსეთს უვლისა,
ბაქოსკენ გაჭრა სწადიათ,
მოხდენა სასწაულისა.
ზამთარი მოდის, ფაშისტებს
ბლომად სჭირდებათ სათბობი,
ზაფხულში მოხმარებულზე
არანაკლები ათობით.
ჩეჩნეთის ნავთი არ ჰყოფნით,
სჭირდებათ ბაქოს ნავთობი,
მაგრამ საბჭოთა არმია
არ არის გოჯის დამთმობი.
მოდის სტალინის ბრძანება –
ჯარში გაწვევა ქალების,
არა მობილიზაციით,
არამედ წვევამდელების.
იხილოს მტერმა თვალითა
კაცთა გვერდთდგომა ქალების,
უძველეს დროდან ცნობილი
ქართველი ამორძალების.
მეორე კურსის სტუდენტნი
პუშკინის ინსტიტუტიდან,
ბევრი აღმოჩნდა წვეული
გამოცხადებისვე დღიდან.
ავტობუსები ჩამოდგნენ,
შიგ გოგონები სხდებიან,
ვაგზლისკენ გამგზავრებასა
სიცილ-კისკისით ხვდებიან.
ფანჯარასთან ზის გოგონა
ლამაზი, შვგვრემანია.
ტალღად გადასდევს თავზედა
შავი ხუჭუჭა თმანია.
მამათელია, ჩხაიძე,
გრიგოლის ქალი, მანია.

გარშემო შემოკრებილებს
შეწყობილი აქვთ ხმანია.
მანიას გააგებინეს:
ჩამოგდის დედა, მამაო.
ხვალ დილას აქ იქნებიან,
შენც აქ გტოვებენ მანამო.
სხვა ეშელონს გამოჰყვები,
დარჩენა არ ღირს განაო?
მთელი დღე მათთან იქნები,
არ დაგრჩეს დასანანადო!
ამა სიტყვების გამგონი,
ჩაფიქრდა ქალი მანია.
ფერმა გადაჰკრა, გაჰხადა
ქანდაკებისა მგვანია:
“რა ვქნა, ვერ-რა მოვიფიქრე,
არა მაქვს გასაქანია.
ჩვენ ერთად უნდა ვიომოთ,
კურსელთა დაშლა ბრალია.
ჩვენ მეგობრები ერთობით
შედეგიანად ვიბრძოლებთ.
სტუდენტისებურ ცხოვრებას
ფრონტულით შევცვლით, ვიომებთ.
ცოტას მოვითმენთ, ცხოვრების
სხვა წესს და რიგს რომ ვიცნობდეთ.
მტერს ჩქარა გავანადგურებთ,
მშვიდი ცხოვრებით ვიცხოვრებთ”
ნიშანი მისცეს. დაიძრნენ.
გეზს ვაგზლისაკენ იღებენ.
უახოვნდებათ სახენი,
ვით უმარულით იღებენ.
სტალინგრადისკენ იღვწიან,
საბრძოლო ჭიშკარს იღებენ
და რადისტები ხდებიან,
სპეციალობას იღებენ.

* * *

ორი თვე გახდა, ჩვენს ქალებს
სამხედრო ფორმა აცვია.
მანიას, ჰურიას, ბაბულის
არგუნეს ერთი რაცია.
ჰურია აჭარელია,
ბაბული არის კახელი.
მათვე ნაწილში სამივემ
უკვე გაითქვა სახელი.
როცა რაციის ირგვლივ ზის
სამი ქართველი ქალია,
ახლოდან ვარდად აღიქვის,
შორიდან ნატვრის თვალია.

* * *

უკვე ჩაერთვნენ ბრძოლებში
ვოლგაზე ჩვენი ქალები.
სისხლიან თოვლზე ბეჭდებად
ჩანს მათი ნატერფალები....
სტალინგრადშივე მანია
ფეხში დაიჭრა მძიმედა,
ვერ შეასრულა გადასვლა
ცრემლი სდიოდა მძივებად.
ერთი თვის განმავლობაში
იგი ჰოსპიტალს სტუმრობდა,
გამოჯანმრთელდა, უშვებდნენ.
მანია აღარ ხუმრობდა:
“გახსოვთ? თქვენ რომ არ ჩამოგრჩით?
ჩვენ ერთად უნდა ვიყოთო?
მწყობრში ვარ, თქვენთან ბრძოლა მსურს,
რად მაგდებთ, რატომ მბრიყვობთო?
ეგ კი არა და , გავტყდები –
ბერლინსაც მინდა ვუწიო!
სამშობლოს ვერ ვემსახურო?

თავს ჩავიქოლავ უწინო!
სულ წინ, წინ უნდა ვიაროთ,
“არცერთი ნაბიჯი უკან”
და მთავარსარდლის ბრძანებას
იმეორებდა ჯიუტად!
ნაწილის უფროსს აახლა
მან სათანადო უსტარი.
დათანხმდნენ. სხივებს აფრქვევდა
ამომავალი მუშთარი.

* * *

დამთავრდა რა, წრმატებით
ვოლგაზე ოპერაცია,
დასავლეთისკენ ილტვიან
მოლაშქრე ქალნი, კაცნია.
ქართველ მეგობარ ქალებსა
მსახურებს იგივ რაცია....
კურსკში შეყოვნდნენ, რადგანაც
შეხვდათ ძლიერი ბრძოლები.
მტერი დამარცხდა, გაიქცა
დამსხვრეულ ქვენა გრძნობებით.....
უჰ! ორი წელი გასულა
ომობენ ჩვენი ქალები
და კარპატებში ბორისლავს
მიადგნენ ამორძალები.
მტერი წელგატეხილია,
მარცხდება, თვითვე ხედავსო.
ჯერჯერობით არ ნებდება,
შემოტევებსაც ბედავსო.
სამაგიეროდ გამოჩნდენ
ადგილობრივი ძალები
და ნადირობენ ჩვენებზე
ბოროტი ნაძირალები.
ერთერთ ასეთ ჯგუფს თაოსნობს
ვინმე ბანდიტი ბანდერა,

შინაურს ებრძვის, დამპყრობელს
შეჰხარის, ფეხქვეშ ეგება.

* * *

საღამო არის, კარპატის
მთებს დასწოლია ღრუბელი.
შემზარავი ხმა გაისმა
თითქოს ყმუოდა ძუ მგელი.
ბუჩქნარში, პოსტზე ჯიხურში
ჩვენი ქალები არიან.
ალბათ მიმიხვდით მკითხველო!
ჰურიაა და მანია.
სმენა დაძაბეს. დაასკვნეს
ესხმიან ბანდერელები,
რაციას ეცნენ, შტაბს თხოვონ
დამატებითი ძალები.
მაგრამ არ იქნა, ვერ შეძლეს ,
ვერ დაამყარეს კავშირი...
ორ ქალს და ბანდერელთ შორის
იქნება ფრონტი გაშლილი.
შენიშნეს ერთი, მეორე,
აგერ მესამე კიდევო...
მანიამ დობილს ანიშნა
რაცია აიკიდეო.
მე შევაკავებ თავდამსხმელთ,
მათ თავგანწირვა ვაჩვენოთ,
შენ კი გააღწევ მშვიდობით,
რაციას გადავარჩენთო.
ქართველი ამორძალები
ერთურთს ჩაეკრნენ ტუჩებში,
მანია ბღუჯავს ავტომატს,
ჰურია გარბის ბუჩქებში.
მანია აგდებს ჯიხურსა
ბუჩქს არჩევს შესაფერსაო,
შიგ ძვრება, მტერზე მიუშვებს,

ის ავტომატის ჯერსაო.
იგერიებდა ბანდიტებს
სანამ შემორჩა ვაზნები.
ორი გადურჩა ცოცხალი
მიწას ეფინენ ავზნენნი.
მანიას ხელი გაუკრეს,
ხის ტოტს დაჰკიდეს თმებითა,
ქვემოდან ცეცხლი შეუნთეს,
“ამოისუნთქეს შვებითა”
სული ეხუთვის ქალწულსა,
სხეული ებრძვის სიკვდილსა,
ვალს უხდის ქალი ქართველი
სამშობლოს თვისსა, მის წილსა.
ერთერთი ბანდიტის ხელში
ხანჯალმა გაიბრწკიალა,
ქალწულის ტანი თავს მოსწყდა
და ცეცხლი ააბრიალა.
ტანი შუაგულ ცეცხლშია,
იწვის უმანკო სხეული,
თავი ირხევა ტოტებში,
ნარნარებს თმანი ხვეულნი.
რა ჩაიდინეს ეს საქმე
ღვთისაგან დასაგმობიო,
გაიქცნენ ბანდერელები,
დაჰყარეს მათი მკვდრებიო.
გასცდა რა, იქაურობას,
ჰურიამ კავშირი სცადა .
შესძლო. მაშველი დაიძრა,
სიშორით დაუგვიანდა.
ცეცხლს განაშორეს მაშინვე
ანარჩენები სხეულის
და თავთან ერთად წაიღეს
ფუთაში გამოხვეული.

* * *

სოფლად მიდის ტელეგრამა
მის გმირულად დაღუპვისა.
მეზობლებს და ნათესავებს
აღარ უხსნით დანა კბილსა.
შეეცოდათ, მოხუცები
ამ ამბავს ვერ აიტანდნენ.
გადაწყვიტეს დამალავდნენ
და მშობლებს არ გაუმხელდნენ.
დედა წერილს ელოდება.
ფოსტალიონს გზაში ხვდება,
არ იქნა და აღარ მოდის
ცოდვა –მადლი ზეცას სწვდება.
მობრუნდება გულდამწვარი.
მივა დიდრონ ჩაის ბუჩქთან ,
მანია რომ პატარობას
ზედ წვებოდა დედის ურჩად.
ტირის, ტირის, ცრემლად დნება
და მაღლა ღმერთს ევედრება,
რომ აღირსოს შვილის ნახვა,
თუნდაც ერთი მოფერება.
მამა ხშირად ასე სჯიდა:
რომ მყოლოდა ასი ვაჟი,
ასივენი გაეწვიათ
მუშურ-გლეხურ წითელ ჯარში,
ასივენი დამხოცოდა,
ერთს არ ამოვიკვნესებდი. . .
მაგრამ გოგო? ოცი წლისა,
კაცთა ომში რა გულითა?
და თვალთაგან ცრემლის ღელე
მოსწყდებოდა ღურღულითა.

* * *

ხანი გადის, გაიარა
30-მა თითქოს წელმა.
დაიხოცნენ დედა, მამა.

აღარ ისმის ლოცვა, ხვეწნა.
სწორედ ამ დროს გაიშალა
ქვეყნად დიდი მოძრაობა,
მოძიება დაკარგულთა
და კვალად შინმოუსვლელთა.
კვალმაძიებლებმა ჰპოვეს
ჩვენი თანამემამულე.
მიიწვიეს მამათელნი,
ახლობელნი მანიასი.
კავკასიელს კარპატებში
გადუხადეს პარაკლისი.
ერთ-ერთ ქუჩას, რომელიც რომ
ქალაქს აძლევს იერ-სახეს,
ბორისლავში აკუთვნებენ
მანია ჩხაიძის სახელს.
ლანჩხუთმა კი, სამშობლოს რომ
გმირი ქალი აღუზარდა,
თვით ქალაქში მას სახელზე
ერთი ქუჩაც განუმზადა ;
მაგრამ ამას არ ჯერდება ,
უფრო მაღლა ტყორცნის ისარს,
ისარი კი სკოლას ხვდება,
გამოხატავს თავის მიზანს.
მანიამ ხომ სრული კურსი
ამ სკოლისა დაამთავრა,
მისი ზნეობრივი აღზრდაც
მნიშვნელოვნად მან განსაზღვრა.
სკოლა არის ძირითადი
შემოქმედი მისი წრთობის.
აღზრდილმაც რომ ასახელა
ხდება მისი სახელობის.
სკოლის ეზოს ანახლებენ,
მცენარეებს გეგმით რგავენ
და მანიას მცირე ბიუსტს

შუა ყვავილნარში რგავენ.
მანიას ბიუსტის დადგმას
დედ-მამა რომ მოსწრებოდა,
დღე-ღამ მასთან იქნებოდნენ,
გულს ნაღველი მოსწყდებოდათ.
ამ პერიოდს თან ემთხვევა
შეცვლა ჩვენი ქვეყნის წყობის,
რაც არის წინაპირობა
ყაჩაღობის და ქურდობის.
ცხოვრება ჭირს, ხალხი წვალობს.
საკვები არ გააჩნიათ,
რამაც ყოფას, ხალხთა ჩვევას
დიდი დაღი დააჩნია.
თურქეთისკენ იწყო დენა
ქართველობამ თავის ნებით,
გასაყიდად ძველმანების:
ხალიჩებით, ფარდაგებით.
კირკა- თოხით და ბარებით ,
ფოცხებითა და ცელებით,
უროებით, ჩაქუჩებით,
წალდებით და ნაჯახებით.
და დაადგეს ბიუსტს თვალი.
ერთ საღამოს გაუარეს,
“გადუტეხეს კისრის ძვალი”,
თურქეთის გზას გაუყენეს.

* * *

ბანდერელთა ათეული
თითქმის გავანადგურე.
ცოცხლად დარჩენილთა მკაცრი
რისხვა დავიმსახურე.
ამიტომაც თავი მომჭრეს,
ტანი ცეცხლში დადაგეს,
“გარდამხდა გარდასავალი”

ტყე-ბუჩქებში დამაგდეს.
კარპატებში, ბორისლავში
ნარჩენებით დამმარხეს”.
ჩემს სოფელშიც პატივი მცეს,
ბიუსტიც კი დამიდგეს.
უარესს რომ მოველოდი
ისიც ჩქარა ამიხდეს.
ჩემს სკოლიდან მომიპარეს
სათათრეთში გამყიდეს.
არც მოკვლევა, არც აღდგენა,
არცერთი არ მაღირსეს.

10. 08. 07

ხრესილის ბრძოლის წინ

რაჭის ქედის ფლატესთან
სოჩხეთია სოფელი,
ოკრიბაში შემავალი,
მეფის კეთილმყოფელი.
        იმერული ოდები
        ვაკე – შეფენებაზე,
        მიანიშნებს მცხოვრები
        ხალხის გემოვნებაზე.
მზე ამოსვლისთანავე
სოფელს სხივებს მოაფენს,
ფლატეც არეკვლილ სხივებს
მის მიდამოს მოაფრქვევს.
        და ამგვარად შექმნილი
        ხელსაყრელი კლიმატით
        იხუნძლება ხეხილი
        დასაწყისში თიბათვის.

საოცარი ბუნება
გლეხის სარჩო-საბადოდ,
მოუცია მაღლა ღმერთს
საცხოვრად და სალაღოდ.
        განთქმულია ვენახი
        და ვაზი აქაური;
        ციცქა და ოცხანური
        რკო და ცოლიკაური.
წაბლის დიდი დგას ოდა,
ძირს სვეტებით გრანიტის,
დახურული ზემოდან
ნარინჯისფერ კრამიტით.
        ეს ეკუთვნის, ვინც იცავს
        ცხოვრების წესს რიგიანს,
        თავდადებულ "ფიცის კაცს",
        მოხუცს, რევაზ ყიფიანს.
ერთ თვალს დიდი ოდიდან
წიგნთსაცავად იყენებს.
ხელნაწერებს გადაწერს,
პოეზიით ისვენებს.
        იყო "ოქროს ჩარდახშიც".
        მსახურებდა მეფესა.
        როცა შევიდა ხანში
        მამულს შემოეფესვა.
ახლაც წიგნთსაცავში ზის,
დაჰყურებს ძველ ნაწერებს,
მის ხელით გადაწერილ,
გაბრწყინებულ ნაძერწებს.
        მის წინ მაგიდაზე დევს
        დიდი ტომი ვახუშტის.
        მონდომება დაღლას ძლევს
        გრძნობა – ტვინის დამუხტვით.
ცეცხლს შეშა შეუკეთა.
ოთახები გაათბო.

ცოტა კიდეც შებნელდა
სასანთლენი აანთო.
        მწუხრი იგრძნო ვნებითა
        მისმა არემარემა.
        ამოხეთქა მთებიდან
        ნარინჯისფერ მთვარემა.
ამ დროს ჭიშკარს მოასკდა
ლაშქრით შავი მერანი.
ძირს ჩამოხტა მაღალი,
შავგვრემანი მხედარი.
        როსტომს, რაჭის ერისთავს
        რევაზი გაეგება.
        გაუელვა, ჭკუაზე
        მოვიდაო ეგება.
ძველი ნათესავები
ერთურთს გადაეხვივნენ.
დიდხნის უნახავები
დიდ სიხარულს ეწიენ.
        დატრიალდა რევაზი,
        ბევრი არ აცდევინა.
        ოცხანური მოხადა,
        სუფრა გააშლევინა.
ბოდიშობს ერისთავსა,
სუფრა არის სამარხვო.
შობის მარხვის დამრღვევსა
ღმერთი გახდის სამარცხოდ.
        ერისთავი გაჩუმდა.
        მისი აზრი დამალა:
        გლეხიკაცის საჭმლითა
        გამბერავსო ამაღამ....
და აღმოხდა აშკარად
სიტყვა მოკრძალულიო,
“ჩვენთან მეფობს ხვანჭკარა,
თქვენთან – ოცხანურიო”.

ტკაცა-ტკუცი გაჰქონდა
კოპიტის ხის ნაოთხლებს,
თითქოს თოფებს ესროდა
საქართველოს მაოხრებს.
ნაპერწკალი ძლიერი
როსტომს შუბლში ეტაკა.
ესეც ჩემი ბედიო,
ანჩხლობს მეტისმეტადა.:
“ზარბაზანი შე-კაცო
დაგიდგია სახლშიო,
მეფისათვის მიგეცა
დადგომოდი მხარშიო”
ჩვენი ზარბაზანია
გული ქრისტეს მონისო,
თურქთა ამაზრზენია
საქმე სოლომონისო.
მეფეს მხარში ვუდგავარ,
თურქი არ მოგვერიოს,
ყმები, სამი ვაუკაციც
ალყობს უქიმერიონს.
უფრო შვებას ვიგრძნობთო,
როსტომი ცვლის თემასა.
ორივენი ვპოეტობთ,
მივყვეთ გულის ნებასა.
ერთურთს ვუთხრათ ლექსები,
ახალი და ძველიო,
გავიტანოთ ეს ღამე
ძნელად გასაძლებიო.
ხვალ კი დილით, როდესაც
დაიწყება ომიო,
გამოჩნდება საქმენი,
თქვენი, დასაგმობიო.
ერისთავო, ბატონო,
მაგაზე ნუ იდარდებთ.

მტერს დავნებდეთ? რატომო?
ვიცით, რომ გავიმარჯვებთ.
ცისკრიდან წირვის დრომდე
ხვალის ომი მორჩება.
ვინ გამოვა მართალი,
მაშინვე გამოჩნდება.
მეფეს ომში მოკლავენ
და ან დაატყვევებენ,
გაუყრიან ბორკილებს,
სტამბულს გაუყენებენ.
აქ რევაზი ერისთავს
ლაპარაკში ჩაუხტა,
ლექსით "ნაქერალათი"
ვითარება განმუხტა.
კარგა ხანს უკითხავდნენ
ერთურთს თავის ლექსებსა.
გული ნამოღვაწარით,
სიამაყით ევსებათ.
შეიცვალა განწყობა.
ორივენი ხალისობს.
აქ რევაზი ცვლის თემას,
უბრუნდება ხვალის ომს.
ღამე მიდის, იმუსრება.
ბოლო უჩანს ღაღადისს.
ყიფიანი იმუხტება,
შეტევაზე გადადის.
ეუბნება: ერისთავო,
ჩემს გულისთქმას გაგანდობ,
სოლომონთან ნუ კი დაობ,
სჯობს ყინული გავადნოთ.
შეგიძლია შენ თურქებს
დაატეხო მეხიო,
ომში დასაშვებია
ყოველგვარი ხერხიო.

ვიცი, ექვსივე ვაჟი
შენი ახლოს არიან,
მოიკრიბე, გაუდექ
გზას ნათელს და მთვარიანს.
        შედი თურქთა ბანაკში,
        თქვი: “შევცვალე აზრიო,
        თქვენს ლაშქართან იომებს
        ჩემი ხმალი ბასრიო”.
დაერიეთ სარდლობას,
წააცალეთ თავები.
მათი ლეშით ძღებოდნენ
ყორნები და ყვავები.
        რაჭველ-იმერთა ჯარი
        წამსვე შენთან დადგება.
        მტრის შუაგულ ბანაკში
        სისხლისღვრა გაჩაღდება.
სოლომონიც გარედან
შემოუტევს აღგზნებით,
ყველაფერს მე ვითავებ,
ჩქარა მასთან გავჩნდები.
        დრო არ ითმენს მოცდასა,
        მიდი, ნუ დააყოვნებ.
        არ დაინდო ლევანიც,
        ისიც მათ მიაყოლე.
დარჩება რა, უსარდლოდ
ომში თურქთა ჯარიო,
მომხვდურებზე უსაზღვროდ
ავიყაროთ ჯავრიო.
        ასე არ ჰქნა მარტყოფში
        დიდმა მოურავმაო?
        წააგეს სპარსელებმა
        უსარდლოდ, ვით ბრმამაო!
გმირად შეგრაცხს იცოდე
მატიანე ჩვენიო.

არ მომისმენ? იწვოდე
მისგან შენაჩვენიო.
აიძაგრა როსტომი,
მამლების ხმაც გაისმა.
კუშტად ზეზე წამოდგა,
იარაღი აისხა.
კვლავაც ეტყვის, დიდი ხანი
ხალხის თვალში ზიზღსა სთეს,
მამულს უნდა მიხედვა,
რა გზას ხედავ უკეთესს?
გაიხსენე მარაბდა,
ცხრა ჩოლოყაშვილიო,
ცხრა ძმა ხერხეულიძე
შვიდი მაჩაბელიო.
ჭარმაგად ხარ ჯერ კიდევ,
შავ ტიტასებრ ჰყვავიო,
ხრესილს დაამშვენებდა
შვიდი ერისთავიო!
როსტომი ცხენს მოახტა
და მათრახი გადაჰკრა.
არც კი დაემშვიდობა
გუშინდელ გზის კვალს გაჰყვა.
“დამარცხდებით იცოდე!
მიაძახა რევაზმა,
რაშიც განათლული ხარ
მოგკითხოს იმ ემბაზმა.”
ვიცი სადაც მიდიხარ,
გძლია ბრძოლის მზერამა.
ბეწვის ძაფზე ჰკიდიხარ,
აგიტანა წერამა.

2005 წ.

ბ – ნ ზ. წერეთელს

სწავლული კაცი ბრძანდებით,
თავადიშვილობთ გვარითა.
ახასიათებთ ქართველსა
ბევრი სხვადასხვა რამითა.
მაგრამ ამ ზაფხულის ბოლოს
ჭკუას შემცდარხარ მგონია,
ქართველი კაცის კვალდაკვალ
ეს რაღა მოგიგონია!
რუსთაველზე, ოპერასთან
ვირი გამოგიყვანია.
მოგირთავს ტყავის თასმებით,
ზედ კაცი წამოჯდომია.
სურათი დამდაბლებისა [1*]
მძაფრი წარმოსადგენია.
ქართველთა ყოფიერება
ასეთ აქტს რომ მოიცავდეს,
მაშინ "გამცემს" გიწოდებდნენ
სიმართლის მადლს მოისხამდნენ.
ასეთი რამ ჩვენ თან არ გვდევს,
აარჩიე რად უგვანო?
სჯობს, რომმასზე უარი თქვა,
უკუაგდო და უგანო!

[1] * სქესობრივი კავშირი (საბა)

ბესიკ თანდაშვილი
სატყეო-სამეურნეო ფაკულტეტის
IV კურსის სტუდენტი

სიყვარულის ხედვა

ჩვენ გვგონია, ადამიანი იმიტომ გვიყვარს, რომ ალერსიანად ვართ მისდამი განწყობილი; იმიტომ, რომ კარგად ვგრძნობთ მასთან თავს; მაგრამ სიყვარული გაცილებით დიდი, უფრო ღრმა და მომთხოვნია.

ჩვენ ისეთ რწმენას და ისეთ ნდობას ვთხოვთ ღმერთს, რომ შეყვარებულები ერთმანეთისთვის მას მუდამ ინარჩუნებდნენ; მათ შორის რაც არ უნდა გაუგებრობა მოხდეს, კამათი და თუნდაც ღალატი, - როდესაც დაკარგული ძესავით ერთ-ერთი დაბრუნდება და იტყვის? – “მე შენთან მოვედი, მე დავბრუნდი შენთან, შეგიძლია თუ არა შენ მე მიმიღო, თუ უკვე გაცივდა შენი გული, ან მოკვდა ჩემდამი შენი სიყვარული”. ცოცხალი რწმენა, ცოცხალი სიყვარული, რომელსაც ძალუძს ადამიანის მშვენიერებას მაშინაც ჰხედვიდეს, როდესაც დაიბინდა, ან ამა თუ იმ მიზეზის გამო ჩაქრა, მოყვასის გულში კი მაინც ანათებს იგი.

ახლა კი ჩემი სიყვარული კვლავ აღფრთოვანებული სიხარულია, უფრო ნათელი, უფრო ღრმა, უფრო საზეიმო და უფრო დარწმუნებული.

შევიყვაროთ როგორც არის ნაკლულოვანებათა სიუხვისას ის. ასევე გვეპყრობა ჩვენ ღმერთიც, იმისთვის კი არ ვუყვარვართ უფალს, რომ კარგები ვართ ჩვენ და ამიტომ ვიმსახურებთ მის წყალობასა და სიყვარულს, არამედ იმიტომ, რომ ვუყვარვართ უანგაროდ და ჭეშმარიტებით.

სიყვარულს ძალუძს გადაარჩინოს მომაკვდავი მეგობრობა და სასიყვარულო ურთიერთობაც. რამეთუ არასოდეს განქარდება ჭეშმარიტი სიყვარული მაშინაც კი, როდესაც სხვა გადაგიყვარებს, სხვა ზურგს შეგაქცევს, სიყვარული კი სიყვარულად რჩება ჩვენს მეხსიერებაში.

ჩვენ ვლოცულობთ იმისთვის, რომ მთელი სირთულეებით აღსავსე ცხოვრების განსაცდელს გაუძლოს წყვილმა, რამეთუ სრულყოფილი სიყვარუ ლის განხორციელებასა და მის დაცვაზეა დამოკი დებული.

“უწინარეს ყოვლისა, შეიმოსეთ სიყვარული, რომელი არს სიმტკიცე სრულქმნილებისა”.

ამალია კუპრავიშვილი

დაამთავრა უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი მცენარეთა დაცვის სპეციალობით, შემდგომ კი ასპირანტურა. ამჟამად გენეტიკისა და სელექციის დეპარტამენტის თანამშრომელია.

დედა

მარადიული ქალური საწყისია ის ლამპარი, რომელიც კაცობრიობას გზას უნათებს იმ დროიდან, როდესაც ხიდან ჩამოვიდა, ფეხზე დადგა, წელში გაიმართა და აბრიალდა, აბრიალდა უქრობი ლამპარი მარადიული სიცოცხლისა, სიკეთისა, მშვენიერებისა.

მშვენიერება კი თვით თქვენი სამყარო, დედური შარავანდედით მოსილი სახე და გმირული სულია, რამეთუ თქვენი კეთილშობილება, კდემამოსილება, სინაზე, თავგანწირვამდე ამაღლებული სიყვარული

მამულისა და შვილებისათვის საუკუნეებს შეუნახავთ და დღესაც უქრობი შარავანდედითაა შემოსილი.

განა მარადიული დიდების ღირსნი არ არიან: -- შვიდი ძმა მარაბდელის, ცხრა ძმა ხერხეულიძის, სამასი არაგველების და სხვათა გმირი დედები, რომლებიც არა მარტო სასახელო შვილებს ზრდიდნენ და სამშობლოს სამსხვერპლოზე აგზავ ნიდნენ, თვითონაც გამოირჩეოდნენ ხასიათის სიმტკიცით და ხშირად ბრძოლის ველზე ეცემოდნენ.

უნგრელი პატრიოტი დასასჯელად მიჰყავდათ სახრჩობელაზე, დედა დაპირდა მეფეს შეწყალებას შევეხვეწებიო, თუ დედა თეთრი თავსაბურველით გამოჩნდებოდა აივანზე, შვილი შეწყალებული იქნებოდა. ხოლო თუ შავი თავსაბურავით გამოჩ ნდებოდა, განაჩენი აღსრულდებოდა. როდესაც დედა თეთრ თავსაბურველში დაინახა, - შვილი გამხნევდა, გაიღიმა და ამ ღიმილით გაჰყო თავი თოკშიც კი, მხოლოდ მაშინ გაიგო სიმართლე, როდესაც ყულფმა მოუჭირა და გაიფიქრა; “ოო, მწარე ტყუილო, ასე შეეძლო ეცრუა მხოლოდ დედას, შიშისგან შეურვებულს, ვაითუ, შვილი შემიდრკესო სახრჩობელაზე”.

დიახ, შვილებს უნდა ვასწავლოთ ამტანობა, ჭირთა თმენა, მანკიერ ჩვევათა მოშლა და სწორ ჩვევათა ჩანერგვა, ცნობილია, როდესაც ყრმა ჰემინგუეი ქუჩურ სიტყვებს ამბობდა, დედა აიძულებდა პირი საპნით გამოერეცხა.

დედობა! - ეს უნაზესი და უფაქიზესი გრძნობაა, რომელიც სხვა ყველა გრძნობაზე მაღლა დგას, სწორედ ამიტომაა ასე გაკეთილშობილებული, გაპატიოსნებული, გაძლიერებული და გაღონიერე ბული სიტყვა - დედა-სიმკვიდრე, სიმაგრე და სიმდიდ რე ერის, რამეთუ დედამ, ქალმა შემოგვინახა რჯული ჩვენი და ადათი ჩვენი.

დედებო! დაე თქვენმა ამაღლებულმა სიყვა რულმა უფრო ზეასწიოს ცარგვალი, გაათბოს, გაას ხივოსნოს მიწის ყველა კუთხე-კუნჭული, რომ ჩვენმა ცისფერმა პლანეტამ არასდროს ჩაიცვას სისხლის პერანგი და დედებმა შავი ძაძები, დაე, მშვიდობა, სიყვარული და სილამაზე იყოს თქვენი მეგზური მარადჟამს ამ მადლიან, დალოცვილ დედამიწაზე.

სწორედ დედას, ქალს მინდა მივუძღვნა ჩემი ლექსის მოკრძალებული სტრიქონებიც:

დედა – სიცოცხლის დიდი სათავე,
დედა – იმედის გასხივოსნება,
დედა – სიბრძნე და სიმი სათუთი,
დედა – სიწმინდე, პატიოსნება
დედა – ეს შენ ხარ ბურჯი ურყევი,
დედა – ეს შენ ხარ ლხინის სათავე,
დედა – პირველი სიტყვაა ჩვენი
სიცოცხლეს – "ვაი დედით" ვამთავრებთ.
შენ ძლიერი ხარ ძუ ვეფხვის დარად
ხან კი ნაზი ხარ, სათუთი მეტად,
ორივე გშვენის თავისებურად
არ მომეშალოს არც ერთი ნეტავ!
ამინ.....

ალავერდი

ზღაპრულ ქვეყნიდან მოფრენილა კახეთში გედი
და მწვანე ველზე მიულულავს დაღალულს თვალი,
უცნობ ჯადოქარს დაუნახავს: "ჰა, ჩემი ბედი!"
ქვად უქცევია თეთრი გედი "დამიტკბოს თვალი".
ეს ლეგენდაა, ძველისძველი, მივიწყებული,
ამ მივიწყებას კვლავ აღგიდგენთ ტაძარი ძველი,
თეთრი გედივით ავარდნილი მწვანე ველიდან,

მიწას დაბმული, მართლაც ზღაპრულ
ჯადოქრის ხელით.
მე კრძალვით დავალ საკურთხეველს და დარბაზს
შინა,
არ შევაშფოთო მამა – პაპათ წმინდა სულები,
ა, - მესმის კიდეც "ღაღადისი" და "ცათა შინა".
და ვხედავ კიდეც დიდებულებს, ლამაზ ქალწულებს.
მზერა მომტაცა სამრეკლოში გუნდმა ზარების,
სმენა გაბრუვდა უცებ მათი გაბმული რეკით,
უწყვეტ ნაკადად შემოდიან სიზმრის ზმანების
ფერიასავით ქალწულები ვაჟკაცთა გვერდით.
თლილი თითებით პირჯვარს იწერს ასული ერთი
ცისფერ თვალებში ჩასდგომია ზღვა ბობოქარი,
ყირმიზ სახეზე დაჰფენია ნათელი ზეცის
და ნაწნავები მიწას კოცნის ვით ნიავქარი.
დე, ნუ იქნება კვლავ სისხლისღვრა,
დაწყნარდეს ხალხი,
გვაკმარე ღმერთო, რაც გვაწვიმე სისხლი ულევი,
კვლავ იჭრიალოს აკვნებმა და აყვავდეს ვაზი
და კვლავ შეერთდეს სიყვარულით სავსე გულები.
უცბ ვერკვევი ბურანიდან, ეს ყველაფერი
სიზმარეული მოჩვენება ყოფილა თურმე,
ჩემს წინ ტრაპეზზე შემომჯდარა ფარფატა მტრედი
და საგალობელს ღუღუნებს თურმე.

სამშობლო ხომ ერთადერთია

დღემდე მონატრების ფასი არ ვიცოდი,
გული კივილს იწყებს, სულს სული ელევა,
ღმერთო! – გამიგრძელე მე დღენი სიცოცხლის
ქართველს ხომ დარდი და სევდა ვერ ერევა.

სად უნდა გავიქცე ამ მონურ ცხოვრებას,
თუმც “მონა” – სახელი ჩემს სახლში მერჩია.
თვალნი ცრემლვას იწყებს და გული გოდებას,
სულშიაც წვიმაა, ათენშიც თქეშია.
როგორ მენატრები ჩემო საქართველოვ,
ჩემო საფიცარო ცაო და მიწაო,
ზურმუხტის სადარო ჩემო მთავ და მდელოვ,
სამოთხე სხვაგვარი მე როგორ ვიწამო?
ხმა მესმის ჩემების, ტელეფონს ვიხუტებ,
გვანცა სიხარულო, დარეჯან, თინიკო,
გულის ღრმა ტკივილებს ცრემლებით ვიყუჩებ,
ეკა, მაიკუნა – შენ ჩემო ტკივილო.
ხომ მალე ჩამოხვალ, “ამუ” მენატრები,
სახლში, სამსახურში ისევ მოგელიან,
ვუცქერი სახეებს გადაღლილს, კმაყოფილთ
ჩემებრნი ათენში ხომ ბევრზე ბევრია.
ჩამოვალ! – ვერ გაძლებს უთქვენოდ ეს გული,
ან რად წამოვედი? – უკვე გვიანია,
გახსოვდეთ! – სავსე ვარ თქვენი სიყვარულით.
ასე არაფერი მე არ მინანია.
ბევრნიც შეჩვეულნან , მეტი გზა არ არის,
საქართველოში ხომ მონობის კულტია,
ქუჩაში დაყარეს, ლუკმა მოანატრეს
აქ კი, მონობაში საზღაურს უხდიან.
მაგრამ, გავიხსენოთ კვლავ ოქროს საწმისი
მედეა – ქალღმერთი რომ ჰქუხდა ელინს,
გადედოფლება და სამსალა სასმისით
და ბოლოს დალატი, ამბორზე ცხელი.
შურმა დაუბრმავათ გონება ნათელი
დასწამეს ცოდვათა ცოდვა,
ნუთუ აღარავინ არ იყო ქართველი
რისთვის მიატოვეს ობლად?
მამულო ძვირფასო! – ხომ ყველა გჭირდებით,
შემწე და იმედი ღმერთია,

ჩამოვალთ, ჩამოვალთ ყველანი გპირდებით
სამშობლო ხომ ერთადერთია!.....

ათენი 15. 06. 06

გვანცას

ჩემო საოცრებავ, ჩემო სიხარულო
მზეწვიავ, მოფრთხიალევ ანცად,
18 წლის გახდი ჩემო სიყვარულო
გკოცნი და გილოცავ გვანცა.
იდიდე უფალო, უფალო იდიდე,
ჩემი ხმა ზეციურ ხმებს ერთვის,
მოჰმადლე ღვთიური ნიჭი და სიწმინდე
კვლავ შენთვის მამულო, კვლავ შენთვის!...

მოვა....

ოცნება იწყება შენით
და აღარ მთავრდება თოვა,
გელი, დღენიადაგ გელი,
გული მეუბნება – მოვა....
ფიქრი გადალახავს ჯებირს,
სიმები დაიწყებენ ორთოლვას,
გელი, დღენიადაგ გელი,
გული მეუბნება – მოვა....
კვირტები დაასკდება ატმებს,
რაღა დროისაა გლოვა?
მგონია შევწვდები ალვებს,
გული მეუბნება – მოვა....
მდინარემ გადალახა ზღვარი,
მყარად ჩავაფრინდი ბორანს,

ნაპირზე მოგკარი თვალი
გული შეფრთხიალდა..... მოვა!....

და მაინც..... ახლოს ხარ ჩემთან....

მთიდან რომ მოსწყდება გუნდა
თოვლის აგორდება ზვავი,
ისე აბობოქრდი გულთან
ოცნება დამიტოვე მაინც.....
თქეშივით წალეკე ფიქრი
თვალების შემომრჩა ელვა
სიშორის წუთებს ვითვლი
და მაინც..... ახლოს ხარ ჩემთან....

ხუთი საათია...

რიჟრაჟმა იძალა, გაფანტა ბურანი,
მთვარემ ღამე ჩემთან გაათია,
მგონი ამისრულდა კვლავ ჩემი გუმანი,
კიდევ დაგელოდო? – ხუთი საათია.
მთვარეს ვუყვებოდი მითებს შენს შესახებ,
კრთებოდა, ფერ-ფური მისდი-მოსდიოდა.
ღრუბლებს გაყვებოდა, ცრემლებს მოიბანდა
და მერე ღიმილით კვლავ გამოდიოდა.
ვიცი არ გამამხელს, ამ ღამით ქარია,
ჩუმად გავენდობი მნათობს დამისეულს,
მოგძებნის, ცის კიდურს მოივლის ღამიან
ბილიკს გაგინათებს ნაცნობს, მთვარისეულს.
გული არ მატკინა, ჩემი სიყვარული
შენს სიყვარულთან ერთად დაატია,
მჯერა, რომ გიპოვნის, გაჰკრა სინანულიც
მაინც დაგელოდო? – ხუთი საათია!....

ჩემს უსაყვარლეს მშობლებს

დედა – უძლებდი თურმე რამხელა ტკივილს,
დედა – სიცოცხლევ და სიამაყევ ჩემო,
დედა – ჩემს სულში შენი ზმანება კივის,
დედა – სადა ხარ? – გიხმობს ეზოში ჩერო.
წამერთვა აზრი, ცხოვრება მიდის მდოვრედ
და ჩემს სხეულში შენი სხეული მტკივა,
ფიქრმა და დარდმა გამომილია ღონე
მე ახლა შენთან ჩუმი ჩურჩული მინდა.
მაგ გულის სითბოს მე ახლაცა ვგრძნობ, დედა,
შენი ოთახი ჩუმი ტკივილით მავსებს,
გეძებ დიდ სახლში, გეძებ ეზოში დედა
და თვალები სულ ცრემლებითა მაქვს სავსე.
მენატრები და უშენოდ ძლიერ მიჭირს,
ამ მონატრებას ვერა კაცი ვერ შეცვლის,
წყალს ჩამომიტან ვენახში თიხის ჭიჭლით
-“დედა მოგიკვდეს, როგორ დაღლილხარ” – მეტყვი.
დაგელოდები, ქვევით დაგიცდი დედა,
ჩრდილში ჩამოვჯდეთ, დამწიფებულა ბალი,
გადავიყაროთ გულიდან დარდი, სევდა,
შემოვიაროთ მთელი სამყარო წამით.
გინდა დედიკო – შემოგატარებ ვენახს
მიეალერსე შენგან ნაფერებ ყურძენს,
“ყოჩაღ, შვილებო! ჩემი მამული ღელავს,
დედა მოგიკვდეთ, რამდენ წვალებას უძლებთ”.
აქ ხომ ყველაფერს შენი სურნელი ასდის,
შენი შრომაა. შენი ოფლი და გარჯა,
ყველას ახსოვხარ დატოვებული მადლით,
შენი სიკეთე ხომ ლეგენდებად დარჩა.
ჩემო კოპწია, ჩემო სპეტაკო ქალო,
ომის კირთები სუსტმა ქალმა რომ ზიდე,

მშიერ-მწყურვალი ლეწდი დღე და ღამ კალოს
დაუყვედრებელ ლუკმას აჭმევდი შვილებს.
ფუ ეშმაკს! – მაგრამ სული გაყიდა ზოგმა,
შენ კი მანდილი შემოინახე წმინდა,
იმ შიმშილისთვის, იმ გაძლების წილ დედა
მე შენ საფლავთან მუხლის მოდრეკა მინდა.
ჩემო ფუსფუსავ, მარადჟამს დაუღლელო,
საით მოგძებნო, საით მოგნახო ქალო?
ჰოი საწუთროვ, მუხანათო და ბნელო
რატომ დამიშრე სიკეთის დიდი წყარო?
ჩემო მეგრელო, ჩემო ღუღუნა მტრედო
სითბოს, სინათლის, იმედის სხივო წმინდა,
მენატრები და მინდა რომ სანთლად მენთო
და შენს თბილ გულში კვლავ ჩახუტება მინდა.
შენ სამეგრელოს თვალი იყავი დედა
მაგრამ კახეთმა მაინც იმარჯვა ბოლოს,
გადაგავიწყდა შენი ტეხურის სევდა,
შენ ჩვენი გახდი, ახლაც ჩვენი ხარ მხოლოდ.
დღეები გადის, უფრო მჭირდები დედა,
აურაცხელი დამრჩა სათქმელი შენთვის,
არ გეგონოს რომ გული გატკინო რამით,
სულ სასაცილო მაკვარანცხ ამბებს გეტყვი.
შრომაში გაცვდი, არ გქონდა წუთით მოცლა,
დიდს და პატარას შენ სჭირდებოდი ყველას,
ახლა დედიკო, ვიღას დავუწყოთ მოცდა,
მოგვიხვალ ისევ? – მე ამისი არ მჯერა.
ვერ გაგიფრთხილდით ჩემო საუნჯევ ისე,
ვით ეკადრება დედაბოძს და ბურჯს ურყევს,
გაუდაბურდა უშენოდ სახლი მყისვე,
ბზარი გაგვიჩნდა შვილებს სულ ყველას გულზე.
დავცალცალკევდით გამოვიფიტეთ მყისვე,
გაწყდა ის ბადე, შენ რომ მოქსოვე დედა,
სადა ხარ ქალო! – დროზე მოგვხედე ისევ
შეგვაკავშირე – მე შენი გულის მჯერა!

არ იკარგება ადამიანის მადლი,
უსაშველოა თურმე ცხოველის სევდაც,
ძაღლსაც სცოდნია ერთგულება და დარდი.
დარდით მოგვიკვდა ჩვენი მურიაც, დედა.
მომიხარია სოფლისკენ ჩემო კარგო,
ჩამოვალ დედა, ვეღარ ვაბიჯებ ზღურბლზე,
არ მელოდება ჩემი მამა და დედა,
რატომ მოვედი? – გულო რა ტანჯვას უძლებ?
სახლის წინ ჩრდილში ჩუმად ვაპარებ მზერას,
იქ დედა იჯდა, იქ არის ჩემი მამაც,
ოო, აღარ მინდა უთქვენოდ სახლი დიდი,
თქვენს ოთახს ვნახავ და ისევ უბრად წავალ.
უბრად წავალო? – ეს რა წამომცდა დედა,
კივილი მინდა, შევძრა სამყარო წამით,
სულ ცოტა ხანით მჭირდებით ჩემო დედა
და მერე წადით, წადით წადით და წადით.
რაო წადითო? – მე შევიშლები ალბათ,
საით გაგიშვათ, თქვენ ხომ ვერსად ვერ ივლით,
ვინ მოგიაროთ, ვინ მოგარჩინოთ მამა,
მე ხომ წამლეკავს თქვენზე დარდი და ფიქრი.
გული მოგირჩა? – ფეხი როგორ გაქვს მამა,
ტკბილო მოხუცო, ჩემო დარდო და სევდავ,
ნუ გეშინიათ, მე არსადაც არ წავალ,
გთხოვ მაპატიო, შენთან ამდენს რომ ვბედავ.
წამალი გინდათ? – გინდათ “შევარდენს “ ვუხმო,
შენ ხომ “შევარდენს “ ეძახდი მამა დალის,
ისიც მოირბენს ნიავქარივით უხმოდ,
შენ ხომ იცი, რომ მას არაფერი დაღლის.
მოგარჩენთ მამა, ორივეს თავსა ვფიცავთ,
ოღონდ იცოცხლეთ, არ დაგვიჩაგროთ გული,
მე არ დავუშვებ იმ საშინელ წუთს მამა,
რომ ჩემს მკლავებზე დალიო ისევ სული.
და ველოდებით სასწაულს – მამავ ჩემო!
ვცოცხლობთ იმედით ნატვრის და კვლავაც ნახვის,

კვლავ იშრიალოს ეზოში თქვენმა ჩერომ,
აურიამულდეს დადუმებული სახლიც.
დარდმა შემბოჭა, რამეთუ მქენჯნის რაღაც,
გადაუხდელი დაგვრჩა მშობლების ვალი,
მარად გვიყვარხართ და გვენატრებით კვლავაც,
მიშას, თინიკოს, ამალიას და დალის.
თქვენს წმინდა სახელს, თქვენს ნათელ
ხსოვნას ვფიცავთ,
არ დაგივიწყებთ თქვენი შვილების გული,
მარადის შევთხოვთ მამაზეციერს წმინდას
ნათელში იყოს თქვენი სპეტაკი სული!...

ამინ....

16. 08. 95

მეშინია....

თოვს და ქარბუქის მეშინია,
ჩემს ფიქრებს ნისლებში აურევს,
ქარი ხომ იცი რომ შეშლილია
გულისთქმას ვერაფერს გაუგებ.

გაზაფხულის ზეიმი

გაზაფხულდა... ჰაერში აფუებული მიწის სურნელი დგას. ჭახჭახებს შაშვი, ისმის ტოროლას წკრიალა ხმა. აგერ, ბუჩქის ძირას მიწა შეინძრა, გული გადაიხსნა და იქიდან მორცხვად გამოიხედა გაზაფხულის ლურჯთვალება ასულმა. თვალები ნაზად დახარა და "მომილოცია გაზაფხულიო" – შესძახა გაარემოს.

მეც მომილოცია გაზაფხულის მობრძანება ჩემო მშვენიერო! –მიეჭრა იას ცელქი ნიავი და თმები აუწეწ-დაუწეწა, იამ უფრო დაიმორცხვა, ლურჯი

თვალები ნაზად დახარა და ბუჩქებს მოხერხებულად ამოეფარა.

რაკ-რაკ-რაკ მომიხარია, გაზაფხულდა, გაზაფ ხულდა, ვიშ რა დარია! სიმღერით ჩამოირბინა ნაკადულმა და ფერდობზე თავი რომ ვეღარ შეიკავა, კისრისტეხით ღრმა ხევში გადაეშვა. იქიდან დიდხანს ისმოდა: გამოიხედეთ იმხიარულეთ, ვიშ, რა დარია!

თითქოს ნაკადული მოწოდებას უცდიდაო, ახმაურდა ყველა და ყველაფერი. რუს ნაპირზე აცეკვდნენ იები, ენძელები, ფურისულები... ჩირგვის ძირში მიყუჟულმა ბაჭიამ თვალები კიდევ უფრო დააცეცა, ყურები წაიგრძელა და რა შეიტყო გაზაფხული ზეიმობსო, მკვირცხლად გადაევლო კორდს და მოზეიმეებს შეუერთდა.

მუხის ფუღუროში მჯდარი ციყვი ზამთრის მარაგიდან შემორჩენილ თხილსა და კაკალს აკნაწუ ნებდა, ხმაური შემოესმა და ფუღუროდან გარეთ გამოხტა, ჯერ მუხას ძირამდე ჩამოჰყვა, შემდეგ კი კენწეროს მოევლო, იქიდან კარგად დაინახა ათასფრად მოელვარე მიდამო და რა შეიტყო ზეიმიაო: “გაზაფხულდა, გაზაფულდაო-“ დაჰკრა ყიჟინა.

ბუნება ნაზამთრალს იყრევინებდა და ჩამუქებული ხევისაკენ ნაკადულს ატანდა.

გაზაფხული ზეიმობდა...

გვანცა ლომიძე
ჟურნალისტიკის სპეციალობის II კურსის სტუდენტი

მესაიდუმლე

მთვარე დარაჯად დასდგომოდა შუაღამისას, ერთი ლამაზი სიყვარულის ლამაზ დასასრულს. დიდხანს უცქერდა მიმალული, ღრუბლებში თვლემით არ აბეზრებდა თავს ნაცნობ წყვილს, ერთ ლანდად ქცეულს. შფოთვა დაიწყო ბადრმა მთვარემ, როდესაც მიხვდა წარსულ ღამეებს რომ არა ჰგავდა ეს თეთრი ღამე, ლამაზი იყო, მაგრამ მაინც არ უხდებოდა მბრწყინავი ცრემლი მიტოვებილ გოგონას თვალებს. უხმოდ გაშორდა ცრემლიანი გოგონას ლანდი ერთ დროს ლამაზი სიყვარულის ჩუმ თავშესაფარს; მთვარე ფეხდაფეხ აედევნა, სევდიან მიჯნურს თავზე წაადგა გუმბათივით, ძველ, მყუდრო ტაძარს წყნარად მბჟუტავი, მოპარპალე სანთლების ფონზე, მკრთალად მოჩანდა დაჩოქილი, პატარა ჩრდილი, მესაიდუმლეს არ ესმოდა გოგონას ლოცვა, ალბათ ანდობდა ღვთისმშობლის ხატს ერთადერთ ტკივილს.

შემოდგომის ქარი

ქარი ნაზად ჩაუქროლებს ცად აწვდენილ ჭადრებს.
აშრიალებს და გაფანტავს ბებერ, ყვითელ ფოთლებს,
შემოდგომის ყვავილებთან ჩუმ საუბარს აბამს
და უყვება სიყვარულის ერთ, სევდიან ამბავს.
ალბათ იმას, რომ მიყვარდი სიცოცხლეზე მეტად,
რომ მიყვარდა შენი სახეც, სუნთქვაც, გულის
ფეთქვაც,
რომ დამტოვე, მიმატოვე არც ის გითქვამს რატომ,

გზააბნეულს თანამგზავრად ქარი მყავდა მარტო.
ეს პატარა სიყვარული თურმე ჰგავდა ზღაპარს,
ტყუილების სამყაროში გამოგონილ ამბავს.
გადავხედავ ქარისაგან გადაფურცვლილ გვერდებს
იქ დავტოვებ შენთვის მოძღვნილ უკანასკნელ
ცრემლებს.
არ გეგონოს, თითქოს ვნანობ ძველ სიყვარულს
ჩემსას,
შევიყვარებ ძველებურად, მთელი გულით მჯერა,
რა ვუყოთ რომ მიმატოვა, გაჰყვა ვიღაც სხვას,
უკითხავად აედევნა შემოდგომის ქარს.

* * *

ერთ ღამეს სუყველას ღრმა ძილით ეძინა
ართობდა წყვდიადი ფერადი სიზმრებით
სარკმელთან მჯდომარე ამბავს უყვებოდნენ
ნაზად უგალობდნენ თან სერაფიმები
და თურმე ამ ღამეს მხოლოდ ერთს ეღვიძა
მხოლოდ ერთს აკრთობდა მშფოთვარე ფიქრები
ლამაზი ოცნების ახდენა უნდოდა
მძინართ ახდომოდათ, უნდოდა სიზმრები
თურმე მთელი ღამე უხმოდ ლოცულობდა
ცრემლად იღვრებოდა უმანკო ასული
ქრისტეს ავედრებდა ლამაზ საქართველოს
ჩუმად ლოცულობდა მისი წმინდა სული.
და ყველას ამ ღამით ღრმა ძილით გვეძინა
ვეღარ გვაშინებდა ბოროტი სიზმრები
ალბათ იმიტომ, რომ იმ ერთს კვლავ ეღვიძა
პირჯვარს გვისახავდა ღვთისმშობლის თითები.

* * *

თეთრად შეღებავს ღამის წყვდიადს მშრალი ფიფქები
შენს ნაკვალევსაც დამავიწყებს მსუბუქი თოვა
სევდას გავატან ცივი ზამთრის სუსხიან სიოს

და ხვალინდელი ლამაზი დღეც უშენოდ მოვა.
  აღარ შევხვდები დილის ცისკარს შენ მოლოდინში.
აღარ იტირებს დარდისაგან დაღლილი გული
ბედნიერება ფართოდ გაშლის ლაღად ჩემში ფრთებს
დაიფერფლება შენი სახით ჩემი წარსული.
  შენთან კვლავ მოვა, დაგაჩოქებს და ჩემ მაგივრად
ფიქრებს აგირევს, შეგახსენებს თავს ცივი ქარი
და დაგინამავს სინანულის ცრემლები თვალებს
გულს გამინათებს მზის სხივივით სინათლე მთვარის.

ვეღარ გამითბობს გაცივებულ გულს თბილი ცრემლი
ვერ თანაუგრძნობს სიამაყე თვალებს ნისლიანს
აღარ დამალავს თავის სათქმელს და გეტყვის გული
მაპატიე, რომ პატიება არ შემიძლია .

nomris Sfumrebi

ამირან ლობჟანიძე

საქართველოს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მებაღე-მევენახეობისა და ტექნოლოგიის ფაკულტეტის კურსდამთავრებული (1965წ). ცნობილი სპორტსმენი რაგბის სახეობაში

ენა, მამული, სარწმუნოება

(ვედრება ღმერთს)

ეძღვნება ქ - ნ ალინა ცხომარიას

ქრისტე ღმერთო, შენ დიდება –
ძლიერო და ყოვლის მქმნელო!
ღვთისმშობელის წილად ხვედრი
დაიფარე საქართველო!
შენ, კეთილო მწყემსო ჩვენო,
ღრმა, ერთო და სულო სრულო,
შენთვის გვინდა აღვესრულოთ
მამავ, ძევ და წმინდა სულო!
ღვთაებრივი ენა ჩვენი,
სიყვარულის ღმერთო ერთო,
შენ გვაჩუქე... და ისევ შენ
დაიფარე ჩვენო ღმერთო!
ქრისტიანი რომ ცოდვებში
არ ჩაინთქას, - მტანჯავს ესო,

რომ არ გაქრეს ენა, რწმენა,
შეგვიწყალე შენ, იესო!
შეგვიწყალე, დაგვიფარე,
მოგვიტევე შენ, იესო!
ლაზარე რომ აღადგინე,
მწამს, აღადგენ ღვთისნიერსო!
საქართველოს დაიფარავ,
ქართულ ენას, რწმენას, ერსო,
შენ იდიდე, ჭეშმარიტო,
ერთადერთო შენ, იესო!

10. 03. 08 (ვერაზე)

მედეას, ჩემს მეუღლეს, ფერისცვალების დღეს

ფერისცვალების იდუმალება
გარდასახვაა, ბედისწერაა!
ამ დღეს ამიკლო შენზე ფიქრებმა,
თორემ რაღა დროს ლექსისწერაა!?
ერთად მოვდივართ, უღელს ვეწევით,
ახლა პროზაა, ლექსი – მერეა!
რომც დავიქანცოთ წუთისოფელში,
სასუფეველი წინ გვაქვს მედეა!
ჩემო ზნეობის, გრძნობის სიმაღლევ,
კოლხო ქალო და საწყისო – ევავ!
ვისთვის ნეკნო და ვისთვის მაცდურო,
ჩემთვის ხატო და აზრო – მედეავ!
ულამაზესო ხმით და გალობით
სამყაროს ნაირ ფერთა მფლობელო,
უზენაესის მადლით, წყალობით –
უზნეობის და ეშმას მგმობელო!

დღეს კი შემცბარო და ფერშემკრთალო –
ფერისცვალების სხივით ნაფერო,
მაინც მაღალო, მაინც კეთილო,
მაინც ლამაზო ქალო – ქართველო!
ჩვენს მძიმე უღელს ერთად ვეწევით,
დღეს პროზა არის, ლექსი – მერეა!
წუთისოფელში გადაქანცულებს,
სასუფეველი გველის, მედეა!

19. 08. 02

ნინო მინდელი

საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის კურსდამთავრებული

სინდისი მქვია სახელად

სინდისი მქვია სახელად,
არ ვბუდობ ყველას სხეულში,
მე ძლიერს ვემორჩილები,
ვერ გავიხარებ ძლეულში.
სინდისი მქვია სახელად,
სამკაული ვარ რჩეული,
არ გამიმეტებს ჭკვიანი,
კაცობით გამორჩეული.
ჩემი მიზანი წმინდაა,
ჩემი მოძღვარი – ღმერთია,
სხვა მბრძანებელი არა მყავს,
უფალი ერთადერთია.
უფლის სახელით, გულწრფელად
ვღაღადებ სულის ზეობას,

ღვთის შვილთა წინამძღოლი ვარ,
თავს მდაბლად ვუხრი ზნეობას.
ადამიანი მართალი,
ნამუსის მქონე მაფასებს,
მეც უანგაროდ, კეთილად
ვემსახურები ათასებს...
მრავალის მეგობარი ვარ
და ვინაც მომისაკლისა,
ჯერ განწირული არ არის,
მიუხედავად ნაკლისა.
სინდისი მქვია სახელად,
ალბათ ვერასდროს დავცხრები,
თუმცა, ვინ იცის, რამდენჯერ
უღვთოდაც გავილანძღები.
სინდისი მქვია სახელად,
ზნედაცემულთა მტერი ვარ,
მართალ კაცს ვემორჩილები,
მემღერება და ვმღერივარ.

6. VII. 2002 წელი

* * *

(საქართველოს თუ გასწირავ)

სულგრძელი ვარ, შემიძლია გაპატიო,
თუ მიმუხთლებ, თუ გამწირავ უღვთოდ,
მაგრამ ერის და სამშობლოს გამყიდველი –
თანაგრძნობას და გაგებას ნუ მთხოვ!
სულგრძელი ვარ, სისხლს შეგარჩენ, გაგიღიმებ,
უკანასკნელ ამოსუნთქვას განდობ,
მაგრამ რწმენის, უფლის საყდრის შემბილწველი
– ნუ მოძებნი ჩემი სახით დამნდობს!
სულგრძელი ვარ, შემიძლია მოგიტევო,
ჩირქი მომცხო, გადავიტან ამას,

მაგრამ დედას, მშობელ დედას თუ მიგინებ –
სულგრძელობას დავივიწყებ კვლავაც!
სულგრძელი ვარ, მტერს მაშინვე ვურიგდები,
თუ თავადაც აღარ უმტრობს სინდისს,
მაგრამ ენას, დედა ენას ვინც ივიწყებს,
ვინც ლაფს ასხამს, მე მტერი ვარ მისთვის.

26. XII. 2003

სამშობლო

სამშობლო სიყვარულია,
ფიცი, ლოცვა და სანთელი,
სუნთქვა ძირძველი ფესვების,
ჩაუქრობელი კანდელი.
გამარჯვება და სიმშვიდე,
გრძნობების ორომტრიალი,
სამშობლო აღმაფრენაა,
ძალა და სულის ციალი.
ცეცხლით გამთბარი კერია,
სიცოცხლე, მიწის ძახილი,
სამშობლო მოწოდებაა,
გმირობის გამოძახილი.
ვაჟკაცის სინდის-ნამუსი,
შეუბღალავი ლეჩაქი,
სამშობლო ერთგულებაა
და სიყვარული სპეტაკი.
დედის დამთბარი თვალები,
შვილი – ზრდილი და გამგონი,
სამშობლო მელოდიაა
ღვთის მიერ გამონაგონი.
გულმოწყალება, სიკეთე,
ცოდნის ზარების წკრიალი,
სამშობლო მოფერებაა,

სისხლის ჩქროლვა და თქრიალი.
მტლად დადებული სიცოცხლე,
მადლის ქმნის ნება-სურვილი,
სამშობლო შემართებაა
და თავდადების წყურვილი.
ზეცად აჭრილი ალილო –
ხსნა და სალბუნი სულისა,
სამშობლო დიდი ჰიმნია –
სადიდებელი უფლისა.
მოყვრად მოსული სტუმარი,
ქორწილები და ძეობა,
სამშობლო დედა ენაა,
გენის და ჯიშის მზეობა.
წინაპრის ნაფეხურებზე
გალაღებული თაობა,
სამშობლო უკვდავებაა,
ყოფის არსი და რაობა.
კაცის მკლავი და ღვთის ძალა
გამოკვეთილი ცივ ქვაში,
სამშობლო აღზევებაა
ერის სიცოცხლის ნიშაში.
ხალხის და მიწის ერთობა,
სულიერების საყდარი,
სამშობლო ნოსტალგიაა
გულის ცრემლებით დამტკბარი.
მისთვის ხოტბა და დიდება,
არ დაინანეს მგოსნებმა,
სამშობლო მომავალია,
წარსულის გასხივოსნება.

19. III. 2001

პირველი კაცი უნდა კაცობდეს

წინსვლა – ნამდვილი უნდა შეგვეძლოს,
სახელად წინსვლა, წინსვლა როდია,
პირველი კაცი უნდა კაცობდეს,
ბეჩავის ზურგზე მიდი-მოდიან.

16. I. 2004

* * *

(ეკლესიამდე ის მივა მხოლოდ)

ქართულო მიწავ, დამიჭარმაგე,
ჩემი მოდგმის და ჯიშის ფესვები,
ღვთის მადიდებლად გამოვზრდი ქალ-ვაჟს,
ღმერთო, მიხარე, შეგევედრები!!!
ქართულო წიგნო, გამომიზარდე,
გამომიკვერე ცეცხლში მახვილი,
არ ჩააჩუმო სისხლში სიცოცხლე,
თავისუფლების გამოძახილი.
ქართულო ქნარო, ამიხმიანე
მოდგმის ბილიკი ჩვილთა გალობით,
შვილთა სიმრავლით გამითბე კერა,
გამანებივრე, ღმერთო, წყალობით.
ქართულო ცრემლო, ამიწყლიანდი,
ბედნიერების დამცვარე ნამით,
შენ გაუმკლავდი დარდის მდინარეს,
ამოვისუნთქო იქნება წამით.
ქართულო ზეცავ, მზის ნაკვესებით
გაასხივოსნე ჩემი მამული,
გაახალისე ბებერი მიწა –
სისხლის წვეთების წვიმით ნამული.
ააღორძინე, აამოქმედე,
არ მოანატრო კაცის მარჯვენა,

კაციც დალოცე, და მოსავალი
გამოუგზავნე სახლის სარჩენად.
ქართულო მიწავ, სისხლხორცეულო,
ღვთითკურთხეული მირონი გცხია,
შენში ძალაა შეუცნობელი
და სიყვარულის სიმღერა გქვია...
ქართული ნიჭი მომავალს ქარგავს,
ძველ ტრადიციებს აქსოვს ამ წნულში,
სწამს, უკვდავების ანკარა წყარო,
სათავეს იღებს მხოლოდ წარსულში.
ქართულო სულო, ათინათინდი,
ამომზეურდი, შენი ვალია,
გამარჯვებისთვის უნდა ვილოცოთ,
დაბრკოლებები წარმავალია.
ქართველო დედავ, ვის მიაგებო
ხმალი ან თასი, შენ იცი ოდით,
გენი აჯიშე, რადგან უჯიშო
ურჯულოდ რჩება გვარით და მოდგმით.
ქართველო ქალო, კდემამოსილო,
ვეამბორები უბიწო მანდილს
და დაგილოცავ, ეკლესიიდან –
მთელი ცხოვრების გასავლელ მანძილს.
ქართულო სუფრავ, გაგვითამადდი,
ღვთის მადლით იწყებ, ღმერთია ბოლო,
ვინც ინანიებს ცოდვებს ალალად,
უფლის საყდრამდე ის მიდის მხოლოდ...
ქართულო მიწავ, დამიჭარმაგე,
ჩემი მოდგმის და ჯიშის ფესვები,
ღვთის მადიდებლად გამოვზრდი ქალ-ვაჟს,
ღმერთო, მიხარე, შეგევედრები!!!

13. XII. 2004

(წმინდა ანდრია პირველწოდებულის ხსენების დღე)

მამულის რჩეულთ მოგმართავთ

მამულის რჩეულთ მოგმართავთ,
რადა ხართ ასე ჩუმადა?
სალბად სჭირდებით ერის წყლულს,
მტერი გულს უჭამს უმადა.
სჯობს გადავწყვიტოთ, ასე მწამს,
ღვთის მრევლი ვართ თუ ავსულის,
რომ არ წაგვიხდეს სახე და
ტანჯვად არ გვექცეს წარსული.
ხმლის ამოგება ძნელია,
ახლა იბრძვიან გონებით,
ჰოდა, ეს განძი თქვენია,
მუხთალს ნუ დაემონებით.
აცოცხლეთ გენი, აჯიშეთ,
დედას იმედი სჭირდება,
კაცი თუ ასცდა მართალ გზას,
ქვეყანას გაუჭირდება.
ერის ცრემლი და ღიმილი
საკუთარ მიზნად აკინძეთ,
ქართული სულის ტკივილი,
არ ჩაკლათ, გამოაღვიძეთ.
ეს თან თხოვნაა, თან ფიქრი,
თან წუხილი და ნაღველი,
(ამდენი გყავდეს რჩეული,
ერის არ იყოს საშველი)?!!
კაცი მტრიანი ცოდოა,
შიში კი მტერზე მეტია,
მაგრამ, მერწმუნეთ, სიცოცხლე
მიზნისთვის გასამეტია.
ჰოდა, მომავლს გაფიცებთ,
ნუ გაჩერდებით, იღვაწეთ,

ვისც როგორ მოგეხერხებათ
და სასწაულსაც მივაღწევთ.
24. II. 2005

დღევანდელობა

დღევანდელობა –
აუტანელი სისასტიკე, ხოცვა და ულეტა,
დღეს რომ ძმას ესვრის –
ის ხვადაგი,
ხვალინდელზე არ ფიქრობს ნეტავ???

ტკივილი

რუდუნებით ნაშენი
მთელი ქართლის ცხოვრება,
როგორ უნდა წაბილწონ
უწმინდურთა მსტოვრებმა?!.
როგორ უნდა დავნებდეთ
და მივენდოთ დინებას,
ხელი თავად შევუწყოთ
ჩვენი სულის კვდინებას.
როგორ უნდა ჩავხედოთ
შემდეგ შვილებს თვალებში,
თუ მათ კუთვნილ სამშობლოს
უცხოთ მივცემთ ვალებში!
24. I. 2004

ნუ აგვიტაცებს წინსვლა

ნუ აგვიტაცებს წინსვლა,
ნუ აგვიტაცებს ხვედრი,
ნუ დაგვიკარგავს გრძნობას

მზით შეფერილი ბედი.
ზევით მივიწევთ ნელა,
სულ დაბრკოლებებს ვლახავთ,
ხან კი, განგების ძალით,
ხდება „მივფრინავთ" ლაღად.
მაგრამ, ვინ იცის, რატომ
ან რა მოხდება როდის,
(მარცხი წუთია მხოლოდ,
ვერ ეგუება ლოდინს).
არ არჩევს მტყუან-მართალს,
არც განცდას დარდობს სხვისას,
მოგწყვიტავს მწვერვალს, როგორც
კლდიდან ლოდს მოსწყვეტს ქვისას.
მხოლოდ სინდისი სუფთა,
მხოლოდ მომავლის რწმენა,
თუ გადაგვარჩენს, მხოლოდ
სიყვარული და თმენა.
უნდა გვახსოვდეს მუდამ,
ის ასპარეზი ფართო
წარმავალია, ჰოდა,
ალბათ ოდესმე დავთმობთ.
უნდა შეგვეძლოს მუდამ
ხალხს ვუსწორებდეთ თვალებს,
მაშინ ვეცემით რბილად
და ისევ ვიკრებთ ძალებს.

1991

სანამ დროა და სულიო

ქვეყანა უბადრუკია
სანთლით საძებნი ღირსებით,
ღვთის გმობამ გადაგვაგვარა
და დავრჩით დანაღირსები.

ხალხი საცნობად აღარ ღირს –
ბილწი და საძულველია,
გული გვიძგერდა, - ქვად იქცა –
აღიარება ძნელია.
ნათელზე ბნელი გამეფდა,
ცოდვა სულს გვართმევს წყეული,
სინდისით ასე ამაყი
ერი შეიქნა ძლეული.
მადლიან ხელებს ნატრული
ვაზი გვიხმება ვენახში,
ტყე გაგვიჩეხეს, გაგვყიდეს,
უცხო ნებივრობს ჩვენს ბაღში.
უწინ, მუმლი რომ დაიხრჩო,
ძლიერი იყო ქვეყანა,
ხალხი, ღვთის მადლით ცხებული,
განუდგებოდა ღმერთს განა?!
ფიცით შეკრული მეფესთან
სისხლის ბოლო წვეთს დაღვრიდა,
დღეს მუმლი გახდა მეფე და...
და სისხლსაც გვწოვენ მაღლიდან.
ფესვების წვენსაც გადასწვდა
უგვარ-უჯიშო, მშიერი,
ვერ გაძღა, მრავლობს დღითი-დღე,
მიტომც შეიქნა ძლიერი...
უფლისა გვცხია მირონი,
ღმერთი არ გაგვინაწყენდა,
ამდენი სისხლისმწოვლისგან,
აბა, რა გადაგვარჩენდა.
მაგრამ ვკნინდებით, საძირკველს
ერს თავად უთხრის ქართველი,
შვილსაც ჩაუკლა გენი და
ფესვი ჩაულპო ჯანმრთელი.

ხალხი საცნობად აღარ ღირს,
ბევრი არ დარჩა მლოცველი,
რა გააცოცხლებს ძველ მუხას,
თუკი მუმლს არ ჰყავს მხოცველი...
მუმლი გარს შემოგვეხვია,
მუხა დამძიმდა მუმლითა,
წყლისაკენ გადაიხარა,
დაოსებული წყლულითა.
ბნელი გამეფდა, დაკარგა
დღის ბრწყინვალებამ ნათელი,
ხალხო, ავანთოთ ფესვებზე,
ბევრი ავანთოთ სანთელი.
ღმერთს შევავედროთ სამშობლო,
სანამ დროა და სულიო,
თორემ, ღვთისაგან გმობილი,
ძლიერ მომრავლდა მუმლიო.

25. V. .2005

***

(ღმერთს სწადია ძალიან)

დარდისთვის და ცრემლისთვის
ახლა სადა გვცალია,
ერო, გამოიფხიზლე,
აღსდექ, შენი ვალია.
გაგიმრავლდა წყეული,
მტერი, თანაც ძალიან,
უცხოს რას ვემართლებით,
ისევ ჩვენი ბრალია.
თავად გამოვიჭედეთ
მონობისთვის გალია,
ფრენაც გადაგვავიწყდა,
(ეს რა სამართალია).

შიშიც შემომერია,
რადა დასამალია,
როცა მრავლობს ვენახში,
ქვეყანაში კალია.
როცა სული გვიქრება,
ღვთისთვის არა გვცალია,
თვალი იქით გაგვირბის,
სადაც ჩასავალია...
ერო! გამოიღვიძე,
აღსდექ, შენი ვალია,
სრულად ვერ წავხდებოდით,
სადღაც გასავალია.
სადღაც, გულის კუნჭულში,
ნათლის გზა და კვალია,
თვალწინ, თვალს თუ გავახელთ,
ნაკურთხი დგას წყალია.
მთელს ქვეყანას ეყოფა,
კვლავ ფრენს, ვინაც დალია,
ჰოდა, მოდი გადავრჩეთ,
ღმერთს სწადია ძალიან.

30. VII. 2005

ასი ათასი ქართველი

გუმბათგადახდილ სიონზე
ტახტი შემოდგა სატანამ,
უფალთან ორთაბრძოლაში
ისურვა თავის გატანა.
მტკვარმაც გადიხსნა გულ-მკერდი,
სისხლი მიიღო ულევი,
გაპატიოსნდა, განათლდა,
ამაღლებული სულებით.
ის სისხლი გენის განწმენდის,

მომავლის იყო სანთელი,
თავს უდრტვინველად სწირავდა,
ასი ათასი ქართველი.
ასი ათასი მორწმუნე,
ასი ათასი ღვთის შვილი,
მეტეხის ჩრდილში სიცოცხლემ,
გააცამტვერა სიკვდილი!..
წინ საოცარი, ბრწყინვალე,
ზღაპრული იდგა ნათელი,
ღმერთს ავედრებდა სამშობლოს,
ასი ათასი ქართველი...
ვერ გაიხარა მტარვალმა,
ჯიში ვერ ჩაკლა-ჩათელა,
ხატის წინ მუხლი მოდრიკა,
ასი ათასმა ქართველმა...
ბოღმისგან დაოსებული
იჯდა ურჯულო მმართველი,
ამაყად იმზირებოდა
ასი ათასი ქართველი...
ეს თავგანწირვა, ეს დრტვინვა,
სიცოცხლის იმედს სახავდა,
ასი ათასი ქართველი,
მომავალს სისხლით ქარგავდა.
კაცი კაცობდა, სწირავდა,
ძვირფასს, უფრორე მეტისთვის,
ასი ათასი ქართველი,
მაშინ თავს სდებდა ღმერთისთვის.
მრავალჟამიერს მღეროდა,
ნაკვები ლოცვის მადლითა,
ასი ათასმა ქართველმა
ეშმაკის გეგმა დაფლითა.
რწმენისგან მოწნულ გვირგვინში
გაბრწყინდა წმინდა ნათელი,
ზეცას კალთაზე მიეთბო

ასი ათასი ქართველი...
    სისხლჩაქცეული თვალებით
იმზირებოდა სატანა,
უფალთან ორთაბრძოლაში,
ვერ შესძლო თავის გატანა...
    თუმც კაცთა მოდგმა შემცირდა
ასი ათასი ღვთის შვილით,
მეტეხის ჩრდილში სიცოცხლემ,
გააცამტვერა სიკვდილი.

7. VI. 2004

***

(მრავალჟამიერ ჩვენი სიცოცხლე)

    მრავალჟამიერ ჩვენი სიცოცხლე,
გვწყალობდეს მიწა, მადლი ბუნების,
ნუ ჩავიმუხლებთ, ნუ დავეცემით,
ნურავის შიშით გავიტრუნებით.
    ნუ დაგვარწყულებს ცრუ იმედები,
ნუ დაგვაბრმავებს უცხო ნათელი,
ბრწყინავს მხოლოდ მზე და უფრო მეტად,
ეკლესიაში წმინდა სანთელი.
    ნუ მივცემთ უღვთოს ძალას – წაგვბილწავს,
ნუ შევიფარებთ მკვლელს – კვლავაც მოკლავს,
ნუ გავჩუმდებით, ზოგჯერ დუმილი,
ძალიან ძვირად გვიჯდება მოკვდავთ.
    განუკითხავი უსამართლობა,
უმართავ ზვირთად გადაიქცევა,
ერის ტკივილი, - თუ არ უწამლე,
უფრო წყლულდება, უფრო იზრდება...
    ღვთისნიერთ გულში, სიყვარულია
შენებისა და წინსვლის ღადარი,
სამშობლოსათვის, სიკეთის ქმნისთვის,

დაუმადლებლად მუდამ მზად არის.
    სულიც წმინდაა, სუფთა, კრიალა,
გამოცდილებას თან ახლავს რწმენა,
უღვთოს და უწვრთნელს კი მხოლოდ თავის
სიდიადის და სიმაღლის სჯერა.
    ქილიკით, ლანძღვით, ლაფს ასხამს
                    სხვის ღვაწლს,
არ ეძიება თუმცა საბაბი,
ის, ეროვნული ნიღბით მოსული –
ერის მტერია, ერის ყასაბი.
    მამულიშვილთა ყველა მცდელობა,
ამაო არის, ცრემლიც მწარეა,
გაწამებული ამდენი დარდით
ქართველი, კვლავაც გულმდუღარეა.
    სჯობს, ღვთისნიერ კაცს ეპყრას სადავე,
ცრუ დაპირებებს ნუღარ ვენდობით,
დე, გავიმარჯვოთ და აღმავლობის
ხანა დავიწყოთ, ხალხო, შენდობით.
    რა გზას ავირჩევთ, ჩვენი ნებაა,
მაგრამ თუ ვიღვწით გადარჩენისთვის,
მზად უნდა ვიყოთ, ამ გზის ბოლოში,
უზენაესი განაჩენისთვის!..

30. IV. 2007
ლომისობა

დალოცვა

    გაირინდა ტკბილი წუთი,
გაერთგულდა ფიქრი ჩვენი,
უფალს მადლი, ხალხს მშვიდობა,
ერს ღვთიური შენაძენი.
    კაცს – ძალა და გააზრება
რწმენის სიღრმისა და არსის,
ეკლესიას – მრევლი წრფელი,

ჩვენს სიცოცხლეს – შინაარსი.
მომავლის ნერგს – სულის საზრდო,
მშობლებს – შვილი, ხატად ღვთისა,
ერს – წინამძღოლი ერთგული,
მამულს – წყარო სიცოცხლისა.
დიდ საქმეებს – წვა და ღვაწლი,
ცოდნის სხივებს – გაბრწყინება,
წიგნს – მკითხველი, მკითხველს – წიგნი,
პოეტური აღტკინება.
ადამიანს – მოკრძალება,
სიყვარული, ჭირთა თმენა,
სულიერი სიმაღლე და
ღირსებათა აღმოჩენა.
ზვრებს – ხელები მადლიანი,
მინდვრებს – თავთავების ალი,
კალოს – მარცვალი სალეწი
და ნალიას მოსავალი.
მიწას – წვეთი, სისხლის არა,
გლეხის გარჯის, გლეხის ოფლის,
აღზევება, გამაგრება
და გაძლიერება სოფლის.
ოჯახს – ხვავით სავსე ხონჩა,
ქისა – მოქარგული შრომით,
ჭერი – ლხინით ახდილი და
მსუყე რთველი – შემოდგომით.
უფალს მადლი, დაილოცოს
იმიერიც, ამიერიც,
სულ ისმოდეს ღვთის დიდებად
ძველი მრავალჟამიერი.
ნუ შეაღწევს ბნელი ძალა
საქართველოს რწმენის წნულში,
ნუ ჩავაგდებთ უცხო მარცვალს
წინაპრების დახნულ ხნულში.
ნუ შევწირავთ სხვის სამსხვერპლოს

პირტიტველა, რჩეულ ბიჭებს,
ჩვენ ვიბრძოლოთ როცა სულის
და მიწა-წყლის დაცვა გვიწევს.
ახალი წლის ღამის წუთი
გაირინდა, ლექსად იქცა,
ჩემი ფიქრი, ჩემი გული,
ერთ დიდ ლოცვად გადაიქცა.
სულ იყავი საქართველოვ,
სულ ადიდე ნება ღვთისა,
სულ გახსოვდეს, კურთხეულ არს
ძალა – მართლმადიდებლისა.

30. V. 2007

ლომისობა

***

(ღმერთზე ლმობიერს ვერ ვპოვებთ მოძღვარს)

ლაჟვარდისფერი ზეცა ბატონობს,
შვენის მზის სხივთა ოქროს მაქმანი,
ბედნიერება ასე ახლოა,
სიყვარულს მივცეთ გზა-გასაქანი.
გვეყო ომი და უბედურება,
დროა, რომ მივხვდეთ, ვის ვუკმევთ, რას ვთმობთ,
ერთმანეთს ვჯიჯგნით და მტრის საბუდარს
ჩვენი ცოდვების სიმრავლით ვათბობთ?!.
რა დაგვემართა, რა მოგვდის, ხალხო,
რამ დაგვაბრმავა, მიმოვიხედოთ,
სამშობლო ხელში შემოგვდნობია,
გავერთიანდეთ, ერთად მივხედოთ.
ჩვენ სხვა ერი ვართ, გვიყვარს თვისება,
მრწამსი სიკეთის სინათლით გვმოძღვრავს,
ღმერთზე უკეთესს, ღმერთზე უმაღლესს,
ღმერთზე ლმობიერს ვერ ვპოვებთ მოძღვარს.

გავთითოკაცდით უღვთოთ ცდილობით,
მაშ, გონს მოვეგოთ, სანამ სულია,
სად გაუმართლდა ეულს და წყეულს,
ბოლოს ყოველთვის გატანჯულია.
წყალი სხვის წისქვილს სხვამვე დაუსხას,
ჩვენ ჩვენი ვკვებოთ, ასე სჯობია,
ხელებგაწვდილი მათხოვრის ყოფა
ქართველისათვის – დასაგმობია.
კაცი თვისებებს იძენს, იზრდება,
ცოდნას იღრმავებს – მოსაწონია,
ქონდრისკაცი კი სხვის ბედს შენატრის,
ვერ ითავისებს, რის პატრონია.
დღეს ქონდრისკაცთა არის სიმრავლე,
უსამშობლოთა ხროვა ბატონობს,
და საშიშია, რომ უზნეობა,
დედამიწაზე გააბატონოს.
რა დაგვემართა, ხალხო, რა მოგვდის,
რამ დაგვაბრმავა, ვის ვუკმევთ, რას ვთმობთ,
ერთმანეთს ვჯიჯგნით და მტრის საბუდარს
ჩვენი ცოდვების სიმრავლით ვათბობთ?!.
გენებში გვიდევს თვისების მადლი,
მრწამსი სიკეთის სინათლით გვმოძღვრავს,
ღმერთზე უკეთესს, ღმერთზე უმაღლესს,
ღმერთზე ლმობიერს ვერ ვპოვებთ მოძღვარს.

14. X. 2005

თქვენ მე მაჩუქეთ
(ჩემს ანას და დავითს)

თქვენ მე მაჩუქეთ ზურმუხტის მდელო,
ლურჯი ზეცა და ფოთოლთ შრიალი,
მინდვრის ყვავილთა სურნელი მძაფრი

და ეკლესიის ზართა წკრიალი.
    თქვენ მე მაჩუქეთ შფოთი მდინარის,
დაუვიწყარი მზე და ნათელი,
სულის სიმშვიდე, წვეთები წვიმის
და უამრავი წმინდა სანთელი.
    თქვენ მე მაჩუქეთ ძალა და რწმენა,
კდემა, სიჩუმე, ღამე ბრწყინვალე,
ციურ მნათობთა ზღაპრული ცვენა
და სურვილების ნდომის სიმრავლე.
    თქვენ მე მაჩუქეთ თვალები წრფელი,
მზერა უღრუბლო, მშვიდი, წყლიანი,
მადლი სიცოცხლის, სიმაღლე გრძნობის
და არსებობის არსი მთლიანი.
    თქვენ მე მაჩუქეთ, დამასაჩუქრეთ,
ყოფნის ხალისით, სანდო ღიმილით,
ღმერთს შემავედრეთ და ვით გრძნეულთა,
წუთით მიყუჩეთ ყველა ტკივილი.
    თქვენ მე მაჩუქეთ ძალა და რწმენა,
დაუვიწყარი მზე და ნათელი,
მინდვრის ყვავილთა სურნელი მძაფრი
და უამრავი წმინდა სანთელი.

10. VII. 1995

ვიცი
(მამას – ზურაბ მინდელს)

    გემატებიან წელიწადები,
თმაში ჭაღარა ძალიან გშვენის,
ბევრი იფიქრებს, ასაკიაო,
თუმცა მე ვიცი, წლებია შენი.
    ვიცი, მუდმივი ბრძოლის ვერცხლია,
ნასათუთევი სამშობლოს დარდი,
ცრემლი, რომელიც მისთვის გიღვრია,

ტკენა, რომელსაც გულშივე კლავდი.
ვიცი, სიცოცხლის მატიანეა,
სპეტაკი აზრი, ნაზი ფიქრები,
შარა, რომელიც გამოვლილია
და გზა, რომელსაც კვლავაც მიჰყვები.
ვიცი, ეს კიდევ, სიყვარულია,
შენი არსების ცეცხლი და ძალა,
ის, რის გაცემაც სასწაულია,
სულით დაცემას რა ძალაც კრძალავს.
ვიცი, იმ შრომის საზღაურია,
იმ დადებული აგურის წონა,
რომელიც ერის საგანძურია,
რომელიც ერის მომავალს კონავს.
ვიცი, მშობელი მიწის კვნესაა,
გულის ტკივილი, გულის იარა,
ის გზა, რომელიც მამულზე ფიქრმა,
მასზე ოცნებამ გამოიარა...
გემატებიან წელიწადები,
თმაში ჭაღარა ძალიან გშვენის,
ბევრი იფიქრებს, ასაკიაო,
თუმცა მე ვიცი, წლებია შენი.

27. IV. 2003

მის ირგვლივ მუდამ სიყვარულია

(საოცრად კეთილშობილ და გულისხმიერ ადამიანს – ჯიმი მინდელს)

სიცოცხლის წლები განვლო მრავალი,
სულაც არ არის ალბათ ადვილი,
და კიდევ უფრო ძნელია ალბათ,
რომ კაცად დარჩე, კაცი ნამდვილი.
ზრუნვას ახლობლის ბედზე, იღბალზე,
მართლაც ბაჯაღლო გული სჭირდება,

(ყველას არ ძალუძს აფრქვიოს მადლი
და სხვებზეც ყველა როდი ირჯება).
როცა არსებობს კაცი ასეთი,
სიტყვების პოვნა მართლაც ძნელია,
მოჩუქურთმება სათქმელს ხომ უნდა,
რომ სთქვა, რაოდენ საყვარელია.
ოქროპირობას ბევრი მიკლია,
თვით ჩუქურთმებიც, სიტყვებს რომ ამკობს,
ბევრჯერ ხომ სანთლით საძებერია,
ვერ მოიძიებ როგორღაც სამყოფს.
მაგრამ მე ვიტყვი ალერსით სათქმელს,
ვიტყვი რამდენი სითბო მიგრძვნია,
მეტად გულჩვილი, გულისხმიერი,
კეთილშობილი რომ მყავს ბიძია.
იუმორის და სიტყვის ოსტატი,
სიკეთის თესვის დიდი უნარით,
მუდამ ხალისის მატარებელი
და სასურველი ყველგან სტუმარი.
ოჯახის სული, სიმშვიდე, ძარღვი,
შრომისმოყვარე მამა-კეთილი,
შვილიშვილების გულების მეფე,
იმედი, კაცად სახეშეცვლილი.
ქართული სუფრის შნო და თამადა,
ქართული ღვინის ძველი ქომაგი,
მის ირგვლივ მუდამ სიყვარულია
და სიხარული მუდამ ორმაგი.
სიცოცხლის წლები განვლო მრავალი,
სულაც არ არის ალბათ ადვილი
და კიდევ უფრო ძნელია ალბათ,
რომ კაცად დარჩე, კაცი ნამდვილი.

13. XI. 1999

დიალოგი ვარსკვლავთან

სურვილი ჩავუთქვი,
აგისრულდებაო,
ვთხოვე და მომიგო,
მომენდე მე, დაო,
შევცინე, შემცინა,
მომეცა შვებაო,
ვიტირე, გაკვირდა –
ეს რა გაბედაო...
შევხედე, შემთხოვა –
დრო უქმად ცდებაო,
მომწყინდა უსაქმოდ
მე ცაზე გდებაო,
მე ჩემი სინათლე –
მომეცი ნებაო,
რომ შენზე დავხარჯო,
გულს მოეშვებაო...
მომეცი ნებაო,
დრო უქმად ცდებაო,
მომენდე მე, დაო,
მე მეამებაო,
აგისრულდებაო!..
აგისრულდებაო!..

1987 წლის ზაფხული

საყვარელი, მშობლიური სახლი

საყვარელი, მშობლიური სახლი,
სიძველეთა იდუმალი მცველი,
სიმწვანეში ჩაკარგული მისი
გაცრეცილი იერი და ფერი.
ხის ჩუქურთმა, გაძარცვული თითქმის,

კიბეს უკვე მორყევია ძირი,
მხოლოდ ბაბუს სურათია ისევ,
რასაც ჯერაც არ უცვლია ნირი.
ნაღვლიანი გადმოცქერის ოთახს,
ნაცნობია მისთვის ყველა კუთხე,
გაიზარდა აქ შვიდივე შვილი,
ახლა ყველას სხვაგან უდევს ბუდე.
მოთმინების მზერით ზვერავს კარებს,
წყლიან თვალებს მოლოდინი კვებავს
და ზაფხულის დასაწყისის ახლოს
გულის რეჩხი გამალებით რეკავს.
ჩემი გულიც მის გულთან ძგერს თითქოს,
მეც შეხვედრა მესწრაფება მსგავსად,
ეს გრძნობაა, წარმოქმნილი წლობით,
სიყვარული არ გამიშვებს არსად.
დრომ წაშალა მოგონება ბევრი,
რომელს თითქოს დიდი ჰქონდა ფასი,
ჩავიხედავ ძველ კუნჭულში ისევ,
მას კი, კვლავაც მოსდებია ხავსი.
მორყეული აღარ არის კიბე
და წარსულში ჩაიკარგა სახლიც,
ძველ, შენახულ ჩუქურთმასაც მგონი,
შეიმშვენებს აივანი ახლის...
მხოლოდ ბაბუს სურათია ალბათ,
ძველებურად ამაყი და დიდი,
(მამაჩემის რომ ვუყურებ თვალებს,
მისი მზერა მაგონდება მშვიდი).
თვალწინ მიდგას მოალერსე ღიმით,
მუდამ რაღაც რჩევას მაძლევს თითქოს,
არასოდეს არ მინახავს, მაგრამ,
სულ ვგრძნობ მისი ჩახუტების სითბოს.

3. XI. 1998

***

(ჩვენ გამარჯვების ნიჭი გვაქვს)

იღუპებოდა ქვეყანა,
ყველა ფიქრობდა თავზე,
მე ჩემს მივხედავ, ჩემს შევქმნი,
დე, სხვამ იზრუნოს სხვაზე.
იღუპებოდა გენები,
ფესვი ლპებოდა ძველი,
ცა იქცეოდა, არავინ
არ გაანძრია ხელი.
ნაძარცვით კერას იწყობდნენ,
იღლიტებოდა ყველა
და შეკეტილი ნაჭუჭში,
იქეთ ითხოვდა შველას.
თუ რამ ძვირფასი გვებადა,
მტერს უნაწილეს „ძმურად",
კაი კაცობას ვინ ჩივის,
ავის ჩამდენის შურდათ.
დაანაკუწეს მამული,
გადააბიჯეს დროს, ზღვარს,
ამ ნაგლეჯების ავტორი
კიდევ ბედავს და.... გვმოძღვრავს.
ვაი შენ, ჯიშო ქართულო,
როგორ უაზროდ კვდები,
დაბლდები, პატარავდები,
სხვისი მორჩილი ხდები.
ვიღაცის მზაკვრულ ჩანაფიქრს
სულს უბერავ და კვებავ,
ის ჭკვიანია – ჩრდილშია,
შენ მისი ჩრდილის ტყვე ხარ.
არარსებული დიდებით
და მიღწევებით ტკბები,

უცხოს შეჰყურებ ხელებში –
წყალობას იხვეწები.
„კეთილმყოფელიც” ნელ-ნელა
ფესვებს გიკვეცავს, გთელავს,
შენივე თხოვნა-მუდარით
გადაგვაშენებს ყველას.
მადლობის თქმაც კი მოგიწევს,
ოდით ზრდილობა მოგდგამს,
სხვის საამებლად, მეტი რა,
ასაჭურისებ მოდგმას.
არც არვის ტოვებ ჩამგდებად
შეუბილწავი თესლის,
მირონმდინარე მიწაზე
საბადოს ეძებ გესლის...
ვაი შენ, ჯიშო ქართულო,
ვის მოუყარე მუხლი,
არ გათენდება უღმერთოდ,
სულ იზეიმებს მწუხრი.
ფოთლებს ჩამოყრის ერის ხე,
გაიკვირტება ღვარძლი,
ცოდვებით გადაივსება
მადლის ღვთიური ვარცლი.
წინაპრის სულით ნაშენი
გენი დაკარგავს სახეს,
ასე იმარჯვებს მუხთალი,
ასე გვიგებენ მახეს...
არა ღირს, ჩემო ქართველო,
გარეთ ვეძებოთ შვება,
ჩვენ, ჩვენი მიწა გვებოძა,
ჩვენი აზრი და ნება.
ვიღაცის მზაკვრულ ჩანაფიქრს,
არ ღირს შევასხათ ფრთები,
უფლის რჩეული ერი ვართ,
ღირსებისათვის ვკვდებით.

ტვინი და მკლავი ძველთაგან,
სამკაულია კაცთა,
ჩვენ გამარჯვების ნიჭი გვაქვს,
ღმერთო! გვაჩუქე განცდა!!!
ტვინი და მკლავი ძველთაგან,
სამკაულია კაცთა,
ჩვენ გამარჯვების ნიჭი გვაქვს,
ღმერთო! გვაჩუქე განცდა!!!

5. XII. 2001

* * *

(ცრემლი და ვარამი შეგვეჩვია)

გარშემო, სახეთა სიმრავლეში,
ცოტა ვინმეს ნახავ, ღიმილიანს,
თვალებში ნაღველის აჩრდილი დგას
და მზერას ასხივებს, ტკივილიანს.
გარშემო ღვარძლი და ორპირობა,
კაცის სახსენებელს დაერია,
კაცი კაცად დარჩა, უფრო მეტს კი,
კაცობისკენ გზა აერია.
შანთით გულ-დადაღულ მიწა-წყალზე
ცრემლი და ვარამი შეგვეჩვია,
უცხოთა დროშები ფრიალებენ,
ჩვენივე მამულში, ჩვენ გვერჩიან.
სული ღირსებისგან გაძარცვული,
სულ გავერანდა და გატიალდა,
განცდამ მეგობრობა შემოგვფიცა,
იღბალი მტრისაკენ გატრიალდა.
გარშემო, სახეთა სიმრავლეში,
ცოტა ვინმეს ნახავ ღიმილიანს,
თვალებში ნაღველის აჩრდილი დგას,
კვლავ მზერას ასხივებს ტკივილიანს...

ასეთ დროს ქვეყანა ერთგულდება,
გრძნობს, რომ ჟამი დგება გადარჩენის,
ამ ძვირფას წუთებში იბადება
ხალხის წიაღიდან გადამრჩენიც.
დიდი, უძლეველი ენერგიით
ივსება – სხეული დაზაფრული,
ზეციდან სიცოცხლით იკვებება,
ძარღვებში იღვიძებს გაზაფხული.
ასე შევაბერდით ამ სამყაროს,
სამშობლოს მოვავლეთ რწმენის წნული,
გალობად ვაქციეთ ჩვენი ყოფა,
გალობად ვაქციეთ სინანულიც.
გამოვთქვით „ქება და დიდებაი”
მადლით შემოსილი დედაენის,
ვისწავლეთ შენდობა-მიტევება,
ვისწავლეთ გამოცდა მოთმინების.
მაგრამ სიძულვილიც დაფრთიანდა,
მძლავრად მოიკიდა ფეხი მტრობამ,
ცოდვა დაგროვდა და მოახერხა,
სულით გაძარცვულთა გამოწრთობა.
ერი ვერ გამრთელდა, ვერ შეიკრა,
შიში სისხლძარღვებში ჩაიღვარა,
დაზაფრა სიცოცხლის გაზაფხული,
გამრავლდა, ტოტებად დაიღარა.
ვდარდობ, ჩემი ხალხის საგულეში,
ძაფი სიყვარულის ჩამწყდარია,
ნუთუ, ქართველები გადაშენდნენ,
თუ არ გადაშენდნენ, სად არიან?!!

23. XI. 2003

ლერი ნოზაძე

ფინანსებისა და აღრიცხვის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

ანბანური

ხალხმა უნდა წაიკითხოს, გაიგოს და იცოდეს
ვინ სიკეთეს აგროვებს და, ვინ სითბოს
და ვინ ცოდვებს.
ყველაფერი მარტივია და გროვდება თანდათან.
განგებ განზე გავლილ განცდებს
განაახლებს გარდათქმა.
მთავარია: - თუ არ ძალგიძს, -
ხალხს არ უნდა დაპირდე.
დრო დადგება სწორად განსჯის, -
დაგტოვებენ ნაპირზე.
რაც არ მოგდგამს, ნუ იჩემებ,
შენზე უკეთ იციან:
რას იუნჯებ სასიკეთოს, ვისთვის რა მიგიცია!

19. 03. 07

მესიჯად , შეკვეთით

მე შენი ტრფობა ისე მჭირდება
როგორც გაზაფხულს ნაზი იები.
მე უშენობა გამიჭირდება
შენით ვაჯობებ ზევსს სიძლიერით.
ოქროს სასახლეს კი არ გპირდები, -
ალალი გულის კარნახით ნაგებს.
ჩემი სიცოცხლის არსად მჭირდები, -
შენი ოცნების უსიტყვოდ გამგებს.

p.s. . . და ბოლოს. . . გვიან , გვიან ამათ ქორწილში სათქმელი:

“ვკვებავდი ამათ პირველ სიყვარულს,
მათ ტრფობას ეშხი ემატებოდა.
და მიფანტავდა წრფელი სიტყვა რულს;
მათი ასაკი მენატრებოდა.

03. 04. 07

* * *

მწერლებს იარაღებით ვერ ხოცავენ.
მწერლები იხოცებიან სიტყვებით.
აბსოლუტური სისულელე ხდება სიცოცხლე -
ჩირის ფასის დაბლა რიყეს როცა ბრიყვად მიყვები.

12. 07. 07

* * *

მგოსნის სანაპირო ელის განახლებას,
მზერა აწალკოტებს და არ გადახმება;
აწყობს ზეახალი სახილი გვახილოს
და ათას ბარრიერს გადაგვცეს ჭიხვინით,
ვინ ხელს წაგვაშველებს,
დაგვხვდება ვინ ლხინით. . .
რომ შვებამ სადარი სამოსით შეგვმოსოს
და რწმენის სანთლებად აგვანთოს, ვით მოსემ.
თვინიერ გვეუწყოს, ვის რა ეწიფება:
ვინ ბედით ბინდია და ვინ - ბედით სიმგოსნე.

17. 07.07

* * *

მთელი ცხოვრება ჩემი შოუა,
ქართულად რაიც ნიშნავს – ჩვენებას.
წამალს, - დოზა რომ მეტი მოუვა
და შველის სწრაფად გადაშენებას, -
ახლა იმდენჯერ ვღებულობ დღეში,

რომ შემიძლია თვალით ავწონო;
ამით აქტიურ ნაბიჯს შევეშვი
რადგან , არც რა ჩანს, რომ მოგაწონოთ.
მაშინებს ირგვლივ აუტანელი
პრინციპულობა და გულგრილობა,
გაყიდულია ყველა მტკაველი,
მოსაწვევია ერის ყრილობა!
რა ვიმოქმედოთ, რა ვთქვათ ისეთი,
რომ შევაფასოთ მავანთ "გმირობა"?!
რაც ხელისუფალთ აზრად არ მოსდით,
მშიერმა ხალხმა როგორ იტვირთოს?
დაპირებები კარგად გამოსდით,
შესრულებაზე არავინ ფიქრობს!
აქეთ მრცხვენია, ტკივილები რომ
გახადეთ ჩვენი თავშისაცემი
და აღარა ჩანს თქვენს შორის კაცი
გულისხმიერად პასუხგამცემი!

04. 08. 07

* * *

თვალსაჩინო როა -
ვისით?
ეს სამყარო, ეს მიწა?
ჭიქით არა –
მოჩუხჩუხე
წყლის დალევა
პეშვით მწამს!
თავბრუ მესხმის პლასტმასებით!
მომიმარჯვეთ ორშიმო.
შეგვრჩი სისხლის გადასხმებით
ტრადიციავ მოშლილო!
იდეით, თავსმოხვეულით
გვაგუებენ ღალატებს,
თორემ, ცოცხლად რატომ ვტოვებთ

ამდენ ცხვირპირდასამტვრევს!?
შეხედავ და - დაიბნევი.
ხმას გაიღებს , - ქალია.
ნუთუ
ამდენ ხანს გეძინა?
ღმერთო!
- ვის ნაქნავია?

06. 08. 07

* * *

რა ვქნა? . . .ჩემთვის უქმად ვერ მივ%დები.
თუ ვსვამ, - სიმარტოვის გამო ვსვამ.
განა ოდეს ვინმეს ვემიჯ%ნები,
ან ვგმობ ორატორთა გამოსვლას!
დამაქვს სადარდელი ისე ბევრი, . . .
გასაღიმებელს ვერ მიაგნებ.
ვის მნედ მოვეპყარ და ვის ყვედრებით. . .
ან ვის "პატივი ვერ მივაგე" . . .
თუმცა ეკუთვნოდათ ლოგიკურად,
მაგრამ არ მაძლევდნენ გასაქანს. . .
ვგავარ შენელებულს მოლიპულთან
დროს რომ მოერგო და დასაქმდა.

09. 09. 07

* * *

ახლა თქვენ გიდგათ განს%ავლის %ლები,
მაგრამ ვ%უხვარ რომ ნათქვამს ვერ ს%ვდებით;
რომელშიც თქვენთვის ბევრი სითბოა
მაგრამ, ხმაურში , აბა , ვით მოვა .....
თქვენამდე? - როცა არ გსურთ დაგეშვა –
შანსი გქონდათ და არუნდ გაგეშვათ –
უქმად. ...მეხილეთ უფრო ძლიერნი
მოქცეულები გულისხმიერად.

28. 10. 07

როლანდ სინატაშვილი

უნივერსიტეტის დაცვის სამსახურის თანამშრომელი. პოლიციის პოლკოვნიკი. დაამთავრა ი. ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა და ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტები. 1956 წ. მარტისა და 1989 წ. აპრილის ეროვნული მოძრაობების, ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის აქტიური მონაწილეა

რომ ვიცოდეთდა გავცეთ პასუხი

რუსეთის დამპყრობლური, კოლონიზატორული პოლიტიკის შედეგად ღრმა ცვლილიბები მიმდინარეობდა კავკასიის მოსახლეობის ეროვნულ შემადგენლობაში. ასე მაგალითად: ქართველები შეადგენდნენ (პროცენტობით):

<u>1800 წ. – 43%</u>
<u>1832 წ. – 38%</u>
<u>1865 წ. – 35.6 %</u>
<u>1886 წ. – 30.7 %</u>
<u>1897 წ. – 28.8 %</u>

ქართველებს სისხლი აღვრევინეს და ჩახოცეს თურქებთან, სპარსელებთან, კავკასიელ მთიელებთან(ჩვენ მოძმე ხალხთან), ავსტრიელებთან, პრუსიელებთან, ფრანგებთან და ა.შ. ბრძოლაში. აპარტახებულ ქვეყანაში ჩამოგვისახლეს უამრავი სომეხი, აზერბაიჯანელი, რუსი(მათ შორის დუხობორები), ბერძნები, ოსები, აფსუები, გერმანელები, .. როგორც მთელ რუსეთის იმპერიაში, საქართველოში გამწარებული დაჩაგრული ხალხი ჯანყდებოდა: მთიულეთის, იმერეთის, კახეთის, სამეგრელოს, გურიის, სვანეთის, აფხაზეთის ... ციმბირის ცივ მიწაში ჩაკლეს ასეულობით მამულიშვილი.

1921 -1929 წწ. ახლა უკვე რუსულ კომუნისტურ პერიოდში, მოძალადე რუსებმა ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილი(მაჭახელა, ბორჩხა, მაკრიალა) ფასოფი, ართვინის ოლქი, არდაგანის ოლქი, ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი გადასცეს თურქებს.

ზაქათალის ოლქის(საინგილო) უძველესი ქართული მიწები, აგრეთვე იორსა და მტკვარს შორის მდებარე მიწები – აზერბაიჯანს. ვორონცოვ ლორეს რაიონი ანუ ალავერდი, ლორე, ტაშირი, ამასია, კალინინო – სომხებს. ილენკოვო, მელხესტი, ცეკარო ანუ სოჭი, ადლერი, ისტორიული დვალეთი მიიტაცეს რუსებმა.

1921 წ. ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრნენ რუსები და მის გავლენის ქვეშ მყოფი ოსები, აფსუები, სომხები და სხვა ბანდიტები და სისხლით მორწყეს საქართველო, სამამულო ომში?...

1956,1989 წლებში დახოცეს ეროვნული აზროვნების თავისუფლების მოყვარე ქარრთველი ახალგაზრდები, განა ამის დავიწყება შეიძლება!?

დღეს 21-ე საუკუნეში თავხედურად გვტაცებენ ქართულ აფხაზეთს და სამაჩაბლოს. გვიპირისპირებენ აფსუა, ოს და სომეხ ხალხის გარკვეულ მოსყიდულ, გადაგვარებულ ნაწილს. შეცდომაში შეყავთ ნამდვილი რუსი ადამიანები. ყველა საშუალებით მათ უნდა გაეცედთ საკადრისი პასუხი.

ყველგან და მუდამ ვიყოთ ქართველი!

ზნეობა, ენა მამული,
და ჩვენი სარწმუნოება,
სადაც ვარ ვიცავ, ვავრცელებ,
ძილში და ცხადში დამყვება.
სხვა ხალხებს პატივს მივაგებ,

ჩვენზე წინ ვერვინ დადგება,
მე ქართველი ვარ! ვიძახი
და ეს, მე, მეამაყება!

ქართველებო, იაპონლებო! მტაცებელ მეზობლებს არ დავუთმოთ ჩვენი მიწები.

(იაპონელი პოეტის ისიკავა ტაკუბოკუს ლირიკა)

მე წავიკითხე
ისიკავა,
შენი ლირიკა,
გაფრენილ ჩიტს ჰგავს
იჟღურტულა
და იჭიკჭიკა.
მზის პირველ სხივის
ქვეყნის ნახვა
ისე მომინდა,
ლექსი დავწერე,
საიდანღაც
მუზა მოფრინდა.
ხოკაიდოზე,
როცა ცივა,
ძინავს ბუნებას,
და იქ მცხოვრებნი
მზის ამოსვლას
გულით ელიან,
კუნძულ კიუსიუზე,
ალუბლები
სურნელს აფრქვევენ,
და სიყვარულით
გაზაფხულის
მოსვლას მღერიან.
მე მიხარია

ფუძიამას
და თქვენ
ლამაზ მთებს
აღტაცებული
ლექსს რომ ვუძღვნი
ვაშა პოეტებს.
ლაღად დაფრენენ არწივები,
სულ მაღლა, ცაზე,
და ნიჭიერი
ხალხი შრომობს -
დაბლა მიწაზე.

ჩამოდი **საქართველოში**, წალამზე შევწვათ მწვადები,
ქართული ღვინით დავლიოთ, გულში სიკეთე ნადები..

მე ჩემსას გეტყვი, შენ – შენი გამიზიარე დარდები,
ჩვენ მიწებს რუსს არ დავუთმობთ, არც ბრძოლას არ
დავზარდებით.

შენ თუ ჩემს ძმობას ისურვებ, ვფიცავ მეც
გამოგადგები.
თუ დავიღუპეთ, გვიტირონ, გულზე დაგვაწყონ
ვარდები.
ჩვენ გზები უნდა დავსახოთ ბრწყინვალე
გამარჯვებისთვის
სიცოცხლე არ დავიშუროთ სამშობლოს
აყვავებისთვის.
რუსო!
სასწრაფოდ
მოაცილე შენი ჯარები,
შენ, მეგობრობა არ გცოდნია –
მეც მეჯავრები.
გახსოვდეთ ყველას:
სამაჩაბლო და

აფხაზეთი,
საქართველოა მუდამ, როგორც
სოჭი, დვალეთი!

მოდის თაობა, დარაზმული
ძალა, ახალი,
<u>თავისუფლება</u>
კურილიას!
<u>კუნძულ სახალინს!</u>
და მე, ქართველ კაცს
მუდამ მჯერა
ღმერთმა ინება
ხომ თქვენი იყო,
პირჯვარს ვიწერ –
თქვენი იქნება!

ჩემს საქართველოს,
ჩემს ამაყ ხალხს,
უშბას, მყინვარწვერს,
ქართულ ანბანით
ქებას ვუძღვნი,
და ხელს მოვაწერ:
თუ ფეხზე უფრო
მაგრად დადგა იაპონია,
აქ ***საქართველო***
გაბრწყინდება
ასე მგონია!
2007წ.

მოდიან ჯარისკაცები
ჩექმები
ერთი! ორი!
სულ გადათელეს
ჯეჯილი

არა, არ არის ჭორი.
გადარჩენილი ია
ღობის ძირს მიმალული
ლოცულობს,
ღმერთო! უბრძანე,
ფეხშველა სიარული.
უბრძანე თოფის მაგივრად,
ბარი გაიდონ მხარზე,
ხორბალი თესონ და ვაზი,
ამრავლონ ქვეყანაზე.
არ გვინდა რუსი დამპყრობი,
მისი ხიშტები, ტანკები,
არყისგან გონდაკარგული
მარუსიები, ვანკები.
ევროპას ვუცქერთ იმედით,
ჩვენ რუსის აღარ გვჯერა,
ქართველებს მუდამ შვენოდათ
ქართული დროშის ჭერა!!

გიორგი სურმავა

სტყეო – სამეურნეო ფაკულტეტის
პირველი კურსის სტუდენტი

* * *

ოცნებას წამართმევს მონატრება,
ნისლში გამახვევენ ხევები,
შიგ სულში ჩამწვდება სიყვარული
მოდი, მომეცი ხელები....
ხეები დამდგარან მონაზვნებად
ოხრავენ მდუმარე კლდეები....
ცად ვარსკვლავს სატრფო ენატრება,

ერთმანეთს ეხვევიან ეკლები.
      მუნჯად გადმომდგარა ეკლესია,
ცად მაღლა აღუმართავს ხელები,
სიყვარულს თხოულობს ვაზი
                  რტოაყრილი,
მოდი, მომეცი ხელები...

* * *

მე მიყვარს ის მთები
აისს რომ კოცნიან
მოფერებით,
დიდის ლტოლვით,
დიდის ოცნებით. . .
მე ვეტრფი იმ ატმის ვარდს,
კოკორს რომ უკოცნიან
ქარი და ფოთლები. . .
ათრობს ცის ნაწველი
ვარდს – წითლად მბროლვარეს –
ტუჩებზე ნაცემი.
საამო ნათელი ბაგეზე ეფინება
პატარა ედელვაისს –
კლდის წვერზე გაჩენილს.
ჩხრიალი აძინებს
დილიდანვე
ბუჩქს, იქვე ამოსულს,
პატარა ნაკადულის
ვნებით სუნთქვას იკრავს,
ბალახს ეკონება
ირემი მშიერი.
სადღაც ჩემი სუნთქვა
ცაცხვის სურნელს სწვდება
და მე მას მივყვები. . .
ოჰ, ვენაცვალე, მზეც ამოვიდა
მის შუქში ვილევი.

* * *

დაიბადება ანტიჰიტლერი
ნიკაპზე წვერით, ულვაშტიტველი
ხელში ტიტებით, გულში იებით,
ძმობით, სიქველით,
კაცთა დიდებით
მოგვევლინება. . .
და გულს გაგვითბობს
ჩვენი ოცნება –
ანტიჰიტლერი
ყოვლად კეთილი, ცოდვატიტველი,
წინ გაგვიძღვება –
ანტიჰიტლერი.
ფორმას გაიხდის, ხელებს ჩამოწევს,
სულ თეთრს ჩაიცვამს,
ივლის ჯინსებით.
“ფიშტოს” დააგდებს, ევას გააგდებს,
ასტრას არ მოწევს
ანტიჰიტლერი. . .

ფოთლები

ბუნება ოთახია, ვნების და
გრძნობების,
მე კი შიგ ჩაკეტილი
მძევალი ოცნების,
ღრუბლებში სულით ფრენა,
ხის ქვეშ კი ფოთლები
ფიფქსავით გამიტაცებს
ქარტეხი გრძნობების.
იქ, ფიქრის ნისლში მბურავს
მე აღქმა ბოჰემის

და ჩემგან ქრთამის ნაცვლად,
სიყვარულს მოელის.
    ხის ქვეშ კი ფოთლებია –
ქარი და ფოთლები.
გაქრობას მიპირებენ
ცა, ქარი, ფოთლები.

ამორძალი

ველური ღამის ამორძალი –
                მთვარე
სერზე გადმომდგარა, ეფერება
                ალვებს.
ტუჩზე ოქროსფერი ღიმილი კლავს
                დარდებს
და გულს უათკეცებს მონატრების
                წამებს.
ამ ველური ღამის ბროლის თვალი
                მთვარე
წამებს გააგიჟებს და დაათრობს
                არეს,
ჭროღა ვარსკვლავები ეფერება
                ნათელს
და მუქი ზღვაც თავის ოცნებებში
                დალევს.
ოცნებების კერპი, გაბადრული
                მთვარე
ბნელში გამოჩნდება, გაანათებს
                ალვებს.

პაემანზე დაიგვიანა მთვარემ

მაღლა, იტალიური ეზოს ოთხკუთხა ჭრილში თეთრი ღრუბლის უზარმაზარი ნაგლეჯი ჩაკვეხებულა და ველარ ველარ ინძრევა სივიწროვეში.

ირგვლივ იისფერი საღამო თანდათან უფრო მუქდება და შავში გადადის.

ვიღაცამ ონკანი მოუშვა. ჩემს ყურებამდე აღწევს ბეტონზე დავარდნილი ძლიერი შხეფების ტკაცუნი.

ტანში სასიამოვნოდ გაატანა სიცივემ. ისევ იქ, გარეთ, კიბის ხის მესამე საფეხურზე ვზივარ და არც კი გავნძრეულვარ; მინდა გაზაფხულის ყოველი სიახლე მთელი სხეულით შევისრუტო და მისი გრძნობები ჩემსას გადავაბა. თუმც ამ ოთხ უზარმაზარ კედელს შუა მოქცეული ახალს ვერაფერს ვპოულობ მასში აწ არ ყოფილს, განუმეორებელს, გარდა უჩვეულო სიგრილის, რომელსაც ღია ონკანიდან მოთქრიალე წყლის შხეფები უფრო ამძაფრებს.

წინ, მეზობლის ოთახის ფანჯრებიდან შუქი გამოდის. თხელი ფარდიდან ილანდება, როგორ დადის ღიპიანი, მაისურიანი კაცი ოთახში და სიგარეტს აბოლებს. მარცხნივ საინებისა და ჩანგლების ერთ რიტმში წკარუნი ისმის. მერე სკამების ხმაური და დიასახლისის ტკბილი სიტყვები. მერე სიჩუმე ჩამოვარდა. უფრო გამუქდა, ვიდრე აქამდე, უფრო გაყუჩდა, არემარე ვიდრე ამასწინ.

მერე ეზოში რაღაცამ გაიფაჩუნა. ჩემს ფეხებთან გარინდულმა პერიმ თავი წამოჰყო და ორჯერ დაიყეფა. დაეზარა ადგომა, თავი ისევ ჩემს ფეხებთან დადო და თვალებში შემომხედა. მხოლოდ მას შევებრალე და არ მიმატოვა. ან იქნებ თითონ ერიდება სიმარტოვეს.

უკვე გვიანაა. თორმეტი სრულდება. სწორედ ის დროა, დამის მათხოვარი ლანდები რომ დაეთრევიან თბილისის ქუჩებში და გამვლელებს აშინებენ. დრო, როცა ქუჩის ბოლოს, გზაჯვარედინთან, ნაგვის ურნების გაყოლებაზე, იქ, სადაც დიდი, შიმშილისგან ფერდებშეკეცილი მაწანწალა ძაღლები დაყიალობენ, ქუჩის დები ატუზულან და მოუთმენლად ელიან კლიენტს, რომლის დანახვაზეც საფლავის ქვასავით გაყინულ სახეებზე, ზედ მუდამ რომ სიყალბე აწერიათ, ერთი წამით გაიელვებს კმაყოფილების ღიმილი.

მეზობლის ფანჯრებში უკვე სინათლე აღარ მოჩანს. პერისაც ჩასძინებია და სიზმრებში წკმუტუნებს. მაღლა ავიხედე. თეთრი ღრუბლის უზარმაზარმა ნაგლეჯმა ოთხკუთხა ჭრილს თავი დააღწია და ზანტად გასცურა დასავლეთისკენ.

გუშინ ამ ციხეში მოვამწყვდიე მთვარე, მაგრამ გამეპარა. გამეპარა და გული დამწყვიტა, რომ მარტო დამტოვა. მგონია რომ დამნაშავეა ჩემს წინაშე, მაგრამ მე მაინც მიყვარს იგი. ნუთუ დანაშაულია, გიყვარდეს ვინმე, თუნდაც დამნაშავე?

უცებ იტალიურ ეზოში სინათლემ შემოაღწია. პაემანზე დაიგვიანა მთვარემ.

19. 03. 08

ჭადრის ფოთლები

დილაადრიან დავადექი გზას. მშრალი, დილისათვის უჩვეულო ჰაერია. მალე გამიშრა ყელი. წყაროც ვერ ვიპოვე ვერსად. ხრეშიან გზას მივუყვები ზამბარამობმული პრუკუნივით რომ დაკიდულა თვალუწვდენელ მაღლობზე. ჩემს ირგვლივ დაცურავენ შემოდგომის ფოთლები. ვფიქრობ, საიდან გაჩნდენ

აპრილის თვეში ეს გამხმარი ჭადრის ფოთლები, ან მე რად დამდევენ კუდში? ნუთუ ისინიც ჩემსავით გაერიდნენ კაცობრიობის დამქანცავ დუღილს ანდა უარიყვნენ ერთდროს უარმყოფელნი და ახლა მე მომდევენ თანამოაზრედ...

მაგრამ არა მეგობარნო! მე ჯერ არა ვარ უარ ყოფილი მაგრამ შემიძლია თან წაგიღოთ უკვდავ-საყოფად.

ისევ მივუყვები აღმართს. არსად ივაკებს და თუ ივაკებს, იქ სასაფლაოა. მაინც გადავუხვიე გზიდან; იქნებ დავისვენო ცოტა, დამღალა ამ უსრულმა....

ძილი მომერია და ვწვები იქვე გარინდული. ირგვლივ არავინაა. მხოლოდ ტრიალი მინდორი და იქიდან ამოზრდილი შავი საფლავის ქვები დარჭობ-ლან უსწორმასწოროდ. მათ შორის მოსისინე, ძვალში გამტანი ქარი კი იმ დილის სუსხიან ნიავს არა ჰგავს, ტუჩებზე რომ გეალერსება და უნებურად ღიმილს მოგგვრის. ღიმილს უბრალოს, სადას, ბუნებრივს.

ავდექი. ისევ აღმართი ჯობია დავაკებულ სი-ცარიელეს, რომელიც უთუოდ გიქადის ლეშივით გახრწნას.

მალე მივაღწიე იმ კლდის მწვერვალს, რომ-ლისკენაც ასე ვისწრაფვოდი. შევდექი მის თავზე და აჰა, აღვაპყარი ხელნი, რათა ღმერთს შევვედრებოდი, მაგრამ უკუვიქეცი. შემრცხვა, რადგან რა ხანია მის თვის ერთი პატარა ლოცვაც კი არ წამიკითხავს. “უფალო შემიწყალე”.

ირგვლივ მიმოვიხედე. სიმაღლე და სიმარტოვე სუფევდა მხოლოდ და მე შემეშინდა. ნუთუ ლაჩარი ვარ? მაგრამ ამაშიც არ არის არაფერი გასაკვირი. მეც ხომ ადამიანი ვარ, არაფრით ჭკვიანი იმ გიჟზე, ვერის ბაღში რომ ფეხშიშველა დარბის და არაფრით სულელი მასზე, “გენიალურ” ლექსებს რომ ჯღაბნის და თავი პოეტად მოაქვს.

არ ვიცი სანამ დავრჩები ამ კლდის თავზე ასე გაუნძრევლად. შიშნაჭამი და გონებაარეული. ჭადრის ფოთლებმა უკვე გასწიეს სხვა, უფრო მაღალი კლდის თავისაკენ. იგრძნეს, რომ მეც ის ერთი ვიყავი, იმ ათასიდან, რომელიც ოდესღაც შეკრთება.

მშვიდობით მეგობარო ფოთლებო. ამ ოხერი სიმძიმის მიუხედავად მეც ვიფრენდი თქვენთან ერთად თქვენი ღირსი რომ ვიყო....

იზო ღოღნაძე

დაიბადა საჩხერის რაიონის სოფელ სავანეთში. დაამთავრა პაოლო იაშვილის სახელობის არგვეთის საშუალო სკოლა და სულხან საბა-ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტი. მუშაობდა ამავე უნივერსიტეტში და ტექნიკურ უნივერსიტეტში.

ამჟამად მუშაობს სსუ-ის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში.

ჩემს თბილისს

ჩემო თბილისო,
გევედრები ფარ-ხმალს ნუ დაჰყრი,
კვლავ ძველებურად ააჟღერე ძველი ჰანგები
და გაგვიცოცხლე რუსთაველი, ნინო, დავითი
წამოახედე, მოუყევი ძველი ამბები.
ძმა-ძმას არ ინდობს, აღარ არის ერთურთ გატანა,
რომ ყველაფერი საგანძური გაყიდულია,
ასე უღმერთოთ დანაწევრდა დღეს საქართველო
და ერთმანეთის სიყვარული დაკარგულია.
შენ თბილისი ხარ, თბილი სიტყვა გვითხარი რამე
სიამაყე ხარ, საქართველოს, მყუდრო სავანე,

არ მოისუსტო, კვლავ დადექი სადარაჯოზე
ხელ შეუხებლად შეგვინახე ერის საუნჯე.
21.10.05.

* * *

თუ სიღარიბე ვერ დავძლიე ვერ დავპრანჭე
კაბა-კაბაზე ვერ ვიყიდე ვერ გავიპრანჭე
დახეულ ჩუსტებს, ვერაფერი თუ ვერ ვუშველე
ეს იმას ნიშნავს, რომ ყველასთვის მე დავიკარგე.
შენს გვერდით მყოფი, ამხანაგიც არარად გაგდებს,
რადგან სამოსი მდიდრული და უცხოური აქვს,
შენთან შეხვედრის და საუბრის ღირსადაც
არ გთვლის
ეს იმიტომ რომ მას მეუღლე ჩინოვნიკი ჰყავს.
რატომ უყურებ კონკისძველას ასე უტიფრად
შენს აბრეშუმთან ეს სამოსი არ მოგწონს განა
სინდის-ნამუსი აამაღლე უმჯობესია,
დღეის ცხოვრებით არ შეხედო ხვალისას, არა.
ეჰ, მეგობარო, შენი სული დაეცა დაბლა,
წრფელი სიმდიდრე რაც გებადა გაცვალე სხვაში,
მაგრამ იცოდე როცა ფარა ცხვრის დატრიალდა
გზად მიმავალი, კოჭლი ცხვარი, მოექცა თავში.
06.10.05

ქართველების თავდადება

კოხტასთავს როცა შეიკრიბა ქართველთ თავკაცნი
და გაიმართა სჯა-ბაასი მონღოლთა მიმართ.
როგორც ყოველთვის, ქართველს ბედმა აქაც უმტყუნა
ძმამ-ძმა გაყიდა, რაც ქართველებს დაატყდა რისხვად.
და შეპყრობილი თავკაცები ქართველი ჯარის
ანისში შეხვდა გააფთრებულ სისხლისმსმელ
მშივრებს

მკაცრად აწამეს, გააშიშვლეს, მხრები შეუკრეს.
და ნაწამები მოათავსეს მცხუნვარე მზის ქვეშ.
სიკვდილის პირას მიიყვანეს ქართველი ხალხი
ამოიწურა მოთმინების ძალა და ღონე
სწრაფად გამოჩნდა ერის შვილი და მოამაგე
ამ გაჭირვების გადამრჩენი, ღვთის კაცი ცოტნე.
ცოტნე მოძმეთა დახმარების სურვილის მიზნით
ორი მხლებელით მიეახლა მონღოლთა სარდალს
სრულიად მშვიდად, გონივრულად და შემართებით
ის ვაუკაცურად მოითხოვდა მათსავით დასჯას.
ცოტნეს ამ ტაქტმა, მონღოლების აზრი გაფანტა
მათ გაიკვირვეს დადიანის ეს თავდადება
ამდენი რისხვის, ტანჯვისა და წამების შემდეგ
თვით განაცხადეს, თავკაცების თავისუფლება.
ასე, ამრიგად, გადაურჩა ქართველი სიკვდილს,
არ შეეწირა და აღუდგა წინ ჟამს დარდიანს,
ეს გამარჯვება, გადარჩენა, თუ თავდადება
ეკუთვნის ერის გმირად შერაცხულ ცოტნე დადიანს.

18.01.06.

ქალბატონ ანა ცარციძეს

ზამთრის ღამეა, ალბათ ყველას ეძინა მშვიდად.
უცბად, სიზმარში ყურს ჩამესმა მე ტკბილი ნანა,
და გამახსენდა, რომ ამ თვეში შენ დაიბადე,
შენ მოევლინე ამ ქვეყანას ჭკვიანო ანა.
შენ თებერვალში დაიბადე, ქართველო ქალო,
არ მოგკლებოდეს ბრძენი ხალხის სიკეთის ძალა,
თუ რამ გაეცი, უსახსოვრე უსახსროს, გლახაკს,
ეს გაცემული დაბრუნდება, კეთილად, ანა.
ანა, ძვირფასო, დაგილოცავ ქართულ ქალობას,
შენს მშვიდ ოჯახთან დაგებედოს წყალობა ღვთისა,
შენ გაიხარე და იცოცხლე ამ ქვეყანაზე

და არ მოგშლოდეს შენ ყურება უღრუბლო ცისა.
ხომ გაუხედნე, კარგო ქალო, მამულს კვიცები,
და მეტ სიმდიდრეს ნეტავ კაცი ინატრებს განა?!
ცოტაც კიდევ და მერე ყველა ავხმაურდებით,
ბებიაობას მოგილოცავთ, ძვირფასო ანა.

02. 02. 06

რჩევა

მომწყინდა უკვე მე ამდენი გლოვა - გოდება,
მომწყინდა უკვე ერთმანეთის ლანძღვა – გინება,
ხვალ საქართველოს გაბრწყინება არ ეღირსება
თუ შურს და ბოღმას დასასრული არ მიეცემა.
ვის ვლანძღავთ ხალხნო, ვის ვაგინებთ ასე ძლიერად
შენს მამულიშვილს? შენს ძმასა და შენს ტკბილ მეგობარს?
ფუჰ, საქართველო! სწორედ ამისთვის
რომ შეგონება ვერ მიეცი ამ უმეცარ ხალხს.
რისთვის ვისწავლეთ, რად გვეჭირა წიგნები ხელში,
თუ ვერ ჩავბეჭდეთ ბრძენი ხალხის ნათქვამი ტვინში.
თუ სიკეთის თქმას ვერ ახერხებთ, კეთილო ხალხნო,
უმჯობესია დაადუმოთ ეგ ენა პირში.

10. 11. 05

* * *

მე მეშინია სიცივის და სუსხიან ზამთრის,
რადგან წლის ამ დროს ყველაფერი მოწყენილია,
ღმერთმა ინებოს, ყველაფერი პირიქით მოხდეს
ცაზე ავხედოთ, ხმამაღლა ვთქვათ, მოწმენდილია.
წმინდა გიორგის მადლი იყოს ჩვენი მფარველი,
უღრუბლო ციდან კაშკაშა მზის სხივი გვათბობდეს,
წმინდა სანთლებით ანთებული ვილოცებოდეთ
და ყველა ჩვენი სალოცავი, ღმერთი გვფარავდეს.

და მაშინ შიში აღარაფრის აღარ მექნება,
ვერ დამაფიქრებს ვერც სიცივე და ვერც ზამთარი,
როცა ეს გული დარდისაგან განიწმინდება
და აინთება სიხარულის დიდი ლამპარი.

28. 10. 05

* * *

ხუთი წლის ბავშვი ტელევიზორს მიჰშტერებია,
მშობელი ყვირის და არ აძლევს უფლებას ამდენს...
ბავშვს უხარია, ტაშს უკრავს და კვდება სიცილით,
ორი ძია რომ ერთმანეთს უკურთხებს გამჩენს.
ბავშვი თვალთვალობს, როდის გავა დედიკო გარეთ,
აინტერესებს იმ ძიების მკლავი და ძალა,
ვინ – ვის აჯობა, ვინ აღმოჩნდა გამარჯვებული
და ვინ გამოჰკრა ოსტატურად პირველმა სარმა.
ეს არის ხალხნო, ჩვენი ყოფა - წუთისოფელი?
ამით ვაპირებთ მომავალი თაობის აღზრდას?
ეს ვერ მოხდება და ვიქნებით უსუსურები
თუ საკუთარ თავს არ დავატანთ ჭკუას და ძალას.

04. 11. 05

ლილი ჯანგველაძე
უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომელი

მისალმება

ზოგი სალამს ვერ იმეტებს,
ისე აგივლ-ჩაგივლის,
თითქოს მისი მისალმებით
მილიონებს ჩაგითვლის.
ზოგი ჩუმად გაგიღიმებს

თანაც თვალებს ჩაგიკრავს,
მას ჰგონია მისი სალმით
სასახლეებს დაგიდგამს.
ზოგი კიდევ თავის სალამს
გულმოსულად მოგიგდებს,
მას სჯერა, რომ ცხოვრებაში
თითქოს რამეს მოიგებს.
ყველა ზემოთ ჩამოთვლილნი
თავმომწონედ დადიან,
მოევლინენ ამ ქვეყანას
და ბრიყვები არიან.

ეს უზნეო საქციელი
მაქნისია რისა?
დაიხსომე, გენაცვალე:
სალამია – ღვთისა!
ცნობილია, რომ პირველად
აღზრდა სალმით იწყება,
თუ ოჯახში არ გასწავლეს,
დასანანი იქნება.

05. 02.07

გაზაფხული

მზემ სხივები ჩემს ოთახში
ისე უხვად დაყარა,
გაზაფხული მომილოცა
და ამით გამახარა.
გაზაფხული ფერად-ფერად
ყვავილებით მორთულა,
ია, ვარდი და ენძელა
ყველა ერთად მოსულა.
ია ჩუმად იღიმება

და თავს მალავს ფოთლებში;
ცდილობს თავის სურნელება
ქარს არ გაყვეს ღრუბლებში.
ვარდი ლაღად გადაშლილა
და თავს იჭერს ამაყად;
ელოდება რომ ბულბული
მას ეწვევა ამაღამ.

12. 09. 05.

ჩიტების ზეიმი

ხის ტოტზე ჩიტი ჩამოჯდა,
ირგვლივ ბარტყები მოისხა,
სიომ დაქროლა და ტოტი
ჩუმად ნარ-ნარით დაისხა.
ჩიტებმა შექმნეს ზეიმი,
მღერიან ლამაზ ხმაზედა,
ბულბულიც მათ შეუერთდა
და უსტვენს მაღალ ხმაზედა.

09. 04. 07

დედის ხსოვნას

გულში გგლოვობ, გულში გტირი,
მუდამ მინდა აქ იყო,
მენატრები, მენატრები
ჩემო ტკბილო დედიკო.
დედა მუდამ დედა არის,
წლოვანება არა აქვს,
მის სიყვარულს შვილისადმი
ზომა, წონა არა აქვს.
დედის გვერდით ამაყი ხარ,
თავისუფლად დალაღობ,

იმიტომ, რომ არასოდეს
დედა შვილს არ ღალატობს.
    დედის სითბო, დედის სიტკბო
მუდამ დაგდევს თანხვედრად,
დაიხსომე, რომ დედიკოს
ვერვინ შეცვლის ამ ქვეყნად.
    დრო რომ მოვა განშორების,
გული შეგეკუმშება,
შეკუმშული გულით ივლი,
სევდა დაგეუფლება.
    დედის გული გაიხარებს
თუ გაქვს გონიერება,
დაიხსომე, რომ არსებობს
კანონზომიერება.

06. 03. 07

აბრე შუმხვევია

    პაწაწინა მწერი ხარ თუ
ჯადოქარი ნეტარი?
ასეთ ლამაზ პარკებს რომ ქსოვ
ვინ გასწავლა ნეტავი?
    შენს ნაქსოვს ჩვენ ისევ ვარღვევთ,
დავახვავებთ ძაფებად,
ფერად-ფერად ფარჩებს მოვქსოვთ
ხალხში გამოსაფენად.
    მთელი გულით გივლით, ვცდილობთ
ნიავი არ გაკაროთ,
შენც ეცადე პაწაწინავ,
პარკებით გაგვახარო.

14. 10. 06

რჩევა

იცხოვრე და ინეტარე,
გაშლილია სამყარო,
რაც უნდა გაგიჭირდეს
ფარხმალი არ დაყარო.
ყველას ლაღად მიესალმე,
გული არ დაიმძიმო,
განძის ძებნას ნუ დაიწყებ,
სადმე არ ჩაიძირო.
შური სწრაფად მოიშორე,
თავს ნუ ჩათვლი რჩეულად,
სიყვარული უნდა თესო
რომ არ დარჩე ეულად.

14. 10. 06

ბედისწერა

ბედისწერა ისეთია
რომ გამყოფებს მუდამ დარდში.
ხან მიწაში ჩაგმარხავს და
ხან აგიყვანს მაღლა ცაში.
ცნობილია, ბედისწერას
ჯერ არავინ გაქცევია,
მწვერვალისკენ მიმავალსა
ქვა აღმართზე დაწევია.
ცხოვრება რომ ბრძოლა არის,
ცნობილია და მეც მჯერა,
სადაც გინდა დაიმალო,
იქ მოგაგნებს ბედისწერა.

09.09.05

სიყვარული

ვაჟი: მთაში ირემმა იყვირა,
ბარში ხმა მომცა ძერამა.
ძილი არ მომცა ღამითა
ამ ჩემი გულის ძგერამა.
შენთანა მოველ ლამაზო,
არ დამეძინა ლაღადა,
არ მინდა ძალა ვიხმარო,
ადექ, გამომყევ თავადა.
ქალი: ვხედავ ფრთები გამოგისხამს
და დაფრინავ ლაღად,
ეს მითხარი, რას მიპირებ
თუ არ მოვალ თავად?
ვაჟი: ნუთუ სხვისკენ მიისწრაფი,
გსურს მამყოფო დარდში?
მოგიტაცებ, გაგაქროლებ
და დაგმალავ მთაში.

ქალს გაუხარდა, გაწითლდა,
თვალებით უთხრა თანხმობა,
ცოტა ხნის შემდეგ ისმოდა
ამ ორი გვრიტის გალობა.

30. 11. 06

მარადიულობა

სული კი შემრჩა ახალგაზრდული,
მინდა რომ ვიყო ღვთიური,
რა იქნებოდა ადამიანი
გაჩენილიყო მარადიული.
წლები გადიან და გული
ნელ-ნელა იწყებს დრეკას,
შორიდან მესმის ზარები

როგორ იწყებენ რეკვას.
    მამცნობენ, - დრო იწურება,
რეგლამენტი აქვს ყველას,
ვიცი, რომ გარდუვლია,
გული კი მაინც ღელავს

05. 05. 07

მონატრება

    მენატრება აფხაზეთი,
მენატრება სოხუმი,
მენატრება ოჩამჩირე,
ჭუბურხინჯი, ოქუმი.
    მენატრება ჩემი გაგრა,
მენატრება ბიჭვინთა,
მენატრება აუათხარა
და ზღაპარი რიწის ტბა.
    მენატრება მე ათონის
ჩანჩქერი და მღვიმე,
და ბესლეთში გადებული
თამარ მეფის ხიდე.
    მენატრება მე შავი ზღვის
მოლივლივე ტალღები,
მოცურავე თოლიები,
წყნარები და ლაღები.
    ტალღა ნაპირს ეხეთქება
და ბობოქრობს შავი ზღვა.
დაგვიბრუნეთ აფხაზეთი
ჩვენ არ გვინდა სხვა..

სარჩევი

ლაშა აივაზაშვილი	3
ვასილ ამირიძე	9
ნინო ბაკურაძე	28
იოსებ გაფრინდაშვილი	29
ბესიკ თანდაშვილი	47
ამალია კუპრავიშვილი	48
გვანცა ლომიძე	60
ამირან ლობჟანიძე	63
ნინო მინდელი	65
ლერი ნოზაძე	92
როლანდ სინატაშვილი	96
გიორგი სურმავა	102
იზო ღოღნაძე	109
ლილი ჯანგველაძე	113

My Hobby is poetry

(In Georgian)

Literary Miscellany No 5 of GSAU staff and students

Tbilisi 2008

რედაქტორი ლერი ნოზაძე